დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტის მირითადი ამოცანაა სამინისტროს საქმიანობის პროტოკოლური უზრუნველყოფა. უმაღლესი დონის სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების ვიზიტების მომზადება-გამართვა. საზღვარგარეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების, მათი მოადგილების, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მატი წარმომადგენლების, აგრეთვე საქართველოს მაღალი დონის დელეგაციების, საგარეო საქმეთა მინისტრის, მისი მოადგილების, საზღვარგარეთის ქვეყნებში ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების (შესვედრების) ორგანიზება; საქართველოში საზღვარგარეთის დიპლომატიური წარმომადგენლებისა და საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მისიების თანამშრომელთა იმუნიტეტებისა და პრივალეგიების დაცვის კონტროლი, აგრეთვე საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან მუშაობის პროტოკოლური უზრუნველყოფა.

სწორედ დიპლომატიური პროტოკოლია პირველი სამსახური, რომელიც უშეალოდ ხვდება ახლადჩამოსულ ელჩებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლებს, აცნობს მას ქვეყნაში არსებულ წესებსა და ამზადებს რწმუნებათა სიგელების გადასაცემად, ასევე ახორციელებს დიპლომატთა და საკონსულო აგენტთა აკრედიტაციას.

დამტკიცებულია და მოქმედებს საზრგარგარეთის დიპლომატიური მისიების, საკონსულო დაწესებულებების, მთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაციების, ოფიციალური წარმომადგენლებისა და ორმხრივი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული დაწესებულებების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთა აკრედიტაციის წესი.

აღნიშნული წესების თანახმად დიპლომატიური პროტოკოლის დეპარტამენტი აწარმოებს ზემოთჩამოთვლილ კატეგორიაზე ოფიციალური სტატუსის დამადასტურებელი დიპლომატიური, სამსახურებრივი, საკონსულო და საკრედიტაციო ბარათების გაცემას. ბარათები დადგენილია სხვადასხვა

ტიპის და მოქმედების ხასიათის მიხედვით დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციების შესაბამისად, რაზედაც ცალკე გვექნება საუბარი.

ლიტერატურა

References:

1. saqarTvelos konstitucia, gamomcemloba "bona kauza", Tb., 2011
2. venis konvencia diplomatiuri urTierTobebis Sesaxeb vena, 1961.
3. saqarTvelos kanoni "diplomatiuri samsaxuris Sesaxeb", Tb., 2007
4. saqarTvelos parlamentis reglamenti Tb., 2004.
http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=20&Itemid=86&lang=ge
5. saqarTvelos mTavrobis reglamenti, Tb., 2004.
http://www.government.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=42
6. saqarTvelos prezidentis brZanebuleba saqarTveloSi saprotokolo RonisZiebaTa mowyobis wesis Sesaxeb №386., Tb., 2001 wlis 27 seqtemberi
7. qarTuli diplomatiuri leqsikoni t.1, t.2. Tb., 1998-2000
8. doRonaZe S., saqarTvelo: gza saerTaSoriso aRiarebidan saerTaSoriso TanamSromlobisaken, gamomcemloba "mecniereba", Tb., 2002., 167 gv.
9. sarTania d., ivane javaxiSvili da qarTuli etiketis istoriis sakiTxebi gamomcemloba "ena da kultura" Tb., 2000.
10. jolia g., saerTaSoriso etiketi , Tb., 2001. 348 gv.
11. Вуд Дж., Серре Ж. Дипломатический церемониал и протокол Из., Международные отношения, 2011.
12. Serres, Jean, "PRACTICAL HANDBOOK OF PROTOCOL", 2010 Edition, Editions de la Bièvre, 3 avenue Pasteur - 92400 Courbevoie, France.

Shota Dogonadze

International Practice of State and diplomatic protocol and features of the Protocol Service of Georgia

Summary

The protocol allows each state to conduct an orderly foreign policy, as well as the activities of government. Protocol helps streamline international representatives and the diplomatic corps in the host countries. Besides organizing ceremonial and traditional events protocol establishes a framework of etiquette, forms of diplomatic correspondence, and more.

In Georgia, as in many countries with a long history, are many examples of documentary making, rules of communication in government circles and diplomats. Some of these rules have survived to this day.

Different countries have different protocol organized professional service create various links either the centralized model and centralized style. It all depends on the traditions and constitutional state.

In Georgia, the protocol service has undergone many structural changes in recent years, but at no stage it was not strictly centralized. Now in the office of the President and the Parliament functions units that are engaged in international relations and protocol operation, a separate office and the Prime Minister. Specific issues involved in working with the diplomatic corps Protocol Department of the Ministry of Foreign Affairs of Georgia, his duties include such an important function as the issues of accreditation documents as diplomats accredited in Georgia and other employees of diplomatic missions operating in the country.

Keywords: protocol service, etiquette, forms of diplomatic correspondence, specific issues.

Шота Догонадзе

Международная практика Государственного и дипломатического протокола и особенности протокольной службы Грузии

Резюме

Протокол каждому государству предоставляет возможность организованно проводить внешнюю политику, а также мероприятия правительства. Протокол способствует упорядочению международных представительств и дипломатического корпуса в странах пребывания. Кроме организации церемониальных и традиционных мероприятий протокол устанавливает рамки этикета, формы дипломатической переписки и многое другое.

В Грузии как и во многих странах с давней историей, немало примеров составления документально, правил общения в государственных кругах и дипломатов. Некоторые из этих правил сохранились и по ныне.

В разных странах по разному организована профессиональная протокольная служба, созданы разные звения будь то централизованного образца и не централизованного стиля. Все зависит от традиций и конституционного устройства государства.

В Грузии протокольная служба претерпела немало структурных изменений за последние годы, но ни на одном этапе она не была строго централизованной. В настоящее время в аппарате Президента и в Парламенте функционируют подразделения, которые занимаются международными связями и протокольной работой, отдельная служба и у аппарата Премьер-министра. Специфическими вопросами работы с дипкорпусом занимается департамент протокола Министерства иностранных дел Грузии, в его обязанности входит и такая важнейшая функция, как выдача аккредитационных документов как дипломатам аккредитованным в Грузии, так и другим работникам дипломатических представительств функционирующих в стране.

Ключевые слова: протокольная служба, этикет, формы дипломатической переписки, специфические вопросы.

ნათია შრიაგა, ზაზა შრიაგა საქართველო, მეცნიერების უნივერსიტეტის გამოწვევების ფინაშვი

თანამედროვე მსოფლიო ვითარდება უფრო სწრაფი ტექნიკური, კოდრე ოდესები. რაც განპირობებულია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით, ადამიანთა მოთხოვნილებების ზრდით და ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საშუალებათა მუდმივი ძიებით. ჩვენ ვცხოვრობთ ახალ ერაში, სადაც პრიორიტეტული გახდა თვითონ ადამიანი, თავისი უფლებებით და თავისუფლებით. დღეს ყველაფერი მისადაგებული უნდა იყოს ინდივიდის და/ან ინდივიდთა ჯგუფის ინტერესებთან.

ორგანიზაცია ეს არის დასახული მიზნის მისაღწევად შექმნილი სტრუქტურილი წარმონაქმნი, მას აქვს სამართლებრივი ფორმა, მართვის ორგანოები, რომელთაც გააჩნიათ კონკრეტული დანიშნულებები. ორგანიზაციაში ერთიანდებიან ადამიანები კონკრეტული ფუქციებით, შესასრულდებლი ამოცანებით და საერთო მიზნებით. ორგანიზაციის განვითარებისათვის საჭიროა ეფექტური არგუმენტი.

მენეჯმენტი, როგორც მეცნიერება ჩამოყალიბებას იწყებს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში. მეცნიერული მენეჯმენტის ფუძემდებელია ამერიკელი მეცნიერი ფრედერიკ ვინსლოუ ტეილორი (1856-1915წ). მის შემდეგ ორგანიზაციის მართვის უნივერსალური პრინციპები ჩამოყალიბა ფრანგმა მეცნიერმა ანრი ფაიოლმა. ორგანიზაციული მართვის პრინციპების ჩამოყალიბებაში ასევე დიდ როლს თამაშობს გერმანელი მეცნიერის მაქს ვებერი (1844-1920წ).

ტეილორი აღნიშნავს, რომ მენეჯერი როგორც ცალკე პიროვნება უძლურია ორგანიზაციული პროცედურების გადაჭრაში. ის კერ მოახერხებს სრულად აღმოფხვრას ისინი, ამიტომ საჭიროა სისტემა, რომელიც თავისით იმუშავებს და ადამიანებმა მხოლოდ უნდა შეასრულონ მკაცრად განსაზღვრული მართვის წესები და კანონები. ფაიოლიმ პირდაპირ გაუსვა ხაზი ორგანიზაციის ინტერესებთან შედარებით. მაქს ვებერმა ჩამოყალიბა სწორხაზოვანი ბიუროკრატიული მოდელი, სადაც ქვეშევრდომის აზრი გათვალისწინებული არ არის ორგანიზაციის მართვის პროცესში.

ზემოთ აღნიშნული უარყოფითი ფაქტორები შეიძლება გახდეს ინდივიდის შესაძლებლობების სრულად გამოვლენის შემზღვდავი გარემოებები, რაც ორგანიზაციის ეფექტურად მუშაობას შეუშლის ხელს.

დღეს, სულ სხვა შინაარსისაა პერსონალის მართვის ონამედროვე მიღებომა – ადამიანური რესურსების მართვა, დღევანდელ ცივილიზებულ და განვითარებულ მსოფლიოში ნებისმიერ ორგანიზაციისა-საწარმოო თუ არასაწარმოო სფეროში, საჯარო სამსახურში და ასე შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ადამიანის ფაქტორის როლი და მნიშვნელობა. ორგანიზაციის არსებობისა და განვითარების არა ერთერთი რიგითი ფაქტორია, არამედ სტრატეგიული რესურსი.

დასავლეთის ბევრ ქვეყანაში კადრების მართვის სისტემა ადამიანური რესურსების მართვის სისტემებმა შეცვალა, ეს ცვლილებები აისახა უშეალოდ პერსონალის მართვის სამსახურის ფუნქციებზეც, კერძოდ:

- ადამიანური რესურსების განვითარება უშეალოდ დაუკავშირდა ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, მისი ერთერთი მთავარი კომპონენტი გახდა;
 - პერსონალის მართვის სამსახური აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის სტარტეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში;
 - მნიშვნელოვნად გაიზარდა ორგანიზაციის “ხაზით მენეჯერთა” (დანიშნული ადმინისტრატორი) კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობა პერსონალის მართვის საკითხში;
 - ხდება პერსონალის მართვის სფეროს პროფესიონალიზაცია, მცირდება ტექნიკურ შემსრულებელთა როლი და რიცხვი;
 - აქცენტი თანდათან პერდება გუნდის შექმნასა და გუნდური პრინციპების დამკითხვებაზე, ადამიანთა უნარშესაძლებლობების განვითარებაზე
- მმართველობით აზროვნების განვითარების სფეროს განვითარებაში სრულიად განსაკუთრებული როლი ეკუთვნის პეტერ დრუკერს, (1909-2005), იგი არის XX საუკუნის მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორიტიკოსი, რომელმაც ფაქტორივად შექმნა მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის სფერო. ის ვინც მართვის სფეროში მოღვაწეობდნენ დრუკერს არქი-გურუს, ანუ მენეჯმენტის მამა-

დამაარსებელს, უფრო ხშირად კი მენეჯმენტის პატრიარქს უწოდებდნენ. პეტერ დორუერი გვაძლევს ორგანიზაციის „ავადმყოფობის“ დასადგენ სიმპტომებს, რომელიც კიდევ ერთი უახლესი გამოწვევაა მენეჯმენტის სფეროში:

ორგანიზაცია „ავად“ არის:

- როდესაც მისი თანამშრომლებისთვის წახალისება უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სამუშაოს შესრულება;
- როდესაც ისინი უფრო შეცდომებისთვის თავის არიდებას ცდილობენ, ვიდრე გარისკვას;
- როდესაც აქცენტი კეთდება უფრო მათი სუსტი მხარეების ნეიტრალიზებაზე და არა ძლიერი მხარეების კიდევ უფრო გაძლიერებაზე;
- როდესაც ადამიანური ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე სამუშაოს შესრულება და მიღწვები;
- კომპანიაში მაღალფარდოვნად საუბრობენ საქმეების შესახებ, მაშინ იქ უკვე ციებ-ცეხელებაა დაწყებული (ეს უკანასკნელი წინადაღება ინგლისურად ასე უდერს “The moment people talk of “implementing” instead of “doing,” and of “finalizing” instead of “finishing,” the organization is already running a fever”)

მენეჯმენტის გამოწვევები საქართველოში
ამჟამად საქართველოში მართვის კუთხით ორი ძირითადი პრობლემა გვხვდება:

1. მენეჯერები, რომლებიც არც კი ცდილობენ გუნდური სულისკვეთება, ინიციატივა და წახალისება გაზარდონ თანამშრომლებში, მათ არ უნდათ არაფრის შეცვლა ფაქტიურად და ისევ აგრესიაზე, შიშხე, მუქარაძე და პედანტიზმზე დაყრდნობით აგრძელებენ მმართველობას;

2. თანამშრომლები, რომლებიც უმეტესწილად სამსახურის და შემოსავლის დაკარგვის შიშით ეგუბიან და გონების დაბნელებამდე მორჩილებით იტანენ ყოველდღიურ დაბაბულ, მთმე, ხისტ მმართველობას, ზეწოლას და მუქარას. ხოლო თუ ოდესმე მენეჯერობამდე დაწინაურდნენ, ცხადია ისინი

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ნათელი გახდა, რომ მენეჯერების დონე საქართველოში საშუალო დონის შესაბამისადაც ვერ განვიხილავთ. ამის ნათელი

მაგალითია ინტერვიუები 10 ქართულ თრგანიზაციასთან. ესენია: შპს. „პოპული“ შპს. „ჯეოსელი“, „ტაოპრივატბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „სახალხო ბანკი“, „კორსტანდარტ ბანკი“, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი „gipa“ „სანტე“, „თიბისი ბანკი“, კომპიუტერული პროგრამები კომპანია „ugt“.

მენჯერების უმრავლესობას საერთოდ არ აქვს სპეციალური განათლება მიღებული. ვერ ერკვევიან მართვის პრინციპებში. უმრავლესობას საერთოდ არ გაუგია ორგანიზაციული მართვის ახალი ტექნოლოგიების და წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პრინციპების შესახებ და სიტყვა „მენჯერი“ მათში ასოცირდება ძალაუფლებისთან, ადამიანებზე ხისტი კონტროლის შესაძლებლობასთან, მხოლოდ ფინანსურ მოგებასთან და ამიტომ ქართველი მენჯერების ბუნებაში არსებობს ბევრი სისუსტეები. ესენია:

1. ცინიზმი სხვების და განსაკუთრებით დაქვემდებარებულების მიმართ;

2. საკუთარი აზრის, მმართველობითი იდეის ან მოსაზრებების თავზე მოხვევა, რადგან უფროსია და „რქებით გატანა“ – მაშინ როდესაც უამრავი არგუმენტია საჭინააღმდეგო და იმის გამო აწვება რქებით, რომ მისი უკულმართი იდეის არგატანა სისუსტეგდ აღიქმება;

3. იდეების მოპარვა – ძალიან ბევრი ქართველი მენჯერი პარავს იდეებს დაქვემდებარებულებს – უსმენს, უწენებს და მერე თავისად ასაღებს და ერთს არ ამბობს თუ ვისია სინამდვილეში იდეა;

4. გოიზმი – როდესაც გუნდის შედეგები სულ მისად ეწვენება და სიტყვა ჩემი აკერია პირზე, მაშინ როდესაც ჩვენ მივაღწიეთ, ჩვენ გავაკეთეთ ძალიან მნიშვნელოვანია;

5. სიძნეწევა - თუ გინდა რომ ბევრი მიიღო, ბევრი უნდა გასცე, რაც ქართველებს ძალიან უჭირთ;

6. ზემოდან უურება-როდესაც ქართველი მენჯერი თავს უფლებას აძლევს ზემოდან უყუროს ყველას. ეს არის საშინელი სენი, რომელიც აჩენს საშინელ უფსკრულს მთელ სტაფსა და მენჯერებს შორის და ეს კარგს არაფერს უქადის ორგანიზაციას;

7. უსამართლობა კადრების მიმართ - ფავორიტიზმი და არაადეკვატური მხარდაჭერა – აღმერთებენ ვიდაცეებს, ხშირად უსამართლოდ, რაც სხვებს თრგუნავს და მუშაობის სურვილს უკლავს.

საქართველოში ეფექტიანი ორგანიზაციული მენეჯმენტი-სათვის საჭიროა მმართველების ძალისხმევა – შექმნან შინაგანი მოტივაცია დასაქმებულებს, რათა მათ გაუჩნდეთ ლოიალობა დამსაქმებელი ორგანიზაციის მიმართ, რაც ეფექტიანი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ამისათვის შესაძლებელია მაგ გრეგორის ყოვრის ელემენტების გამოყენება, კერძოდ თანამშრომლებზე მორალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედება, რათა მათ ჩამოუყალიბდეთ ორგანიზაციული მუშაობის სტიმული.

სანამ “ქართული მენეჯმენტი” მაგრეგორ-დრუკერისეულ მმართველობის სტილზე გადავა, მანამდე რამოდენიმე მნიშვნელოვანი საფეხური აქვს გასავლელი, უპირველეს ყოვლისა, პრობლემა მდგომარეობს ეწ. პირველი სამეცნიერო (ტეილორი, ვებერი, ფაიოლი) რეკომენდაციების დახვეწა-გაუმჯობესებაზე, რადგან მენეჯმენტი ევოლუციური პროცესია და საჭიროა საფეხურეობრივი გავლა მენეჯმენტის ყველა ეტაპის. ამას გარდა საჭიროა ქართვლი პერსონალის ტვინის ტრანსფორმირება და ამისათვის არსებობს რამოდენიმე რეკომენდაცია ხისტი მმართველობის სტილიდან რბილ მმართველობაზე გადასვლამდე გარდამავალი ეტაპის გადაღახვა, კერძოდ:

- ადამიანური რესურსების განვითარება უშუალოდ უნდა დაუკავშირდეს ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, უნდა გახდეს მისი ერთერთი მთავარი კომპონენტი;
- პერსონალის მართვის სამსახური აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ორგანიზაციის სტარტეგიისა და პოლიტიკის შემუშავებაში;
- მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს ორგანიზაციის “ხაზით მენეჯერთა” (დანიშნული ადმინისტრატორი) კონკრეტული ფუნქციები და პასუხისმგებლობა პერსონალის მართვის საკითხებში;
- უნდა მოხდეს პერსონალის მართვის სფეროს პროფესიონალიზაცია, შემცირდეს ტექნიკურ შემსრულებელთა როლი და რიცხვი;
- აქცენტი თანდათან გაკეთდეს გუნდის შექმნასა და გუნდური პრინციპების დამკვიდრებაზე, ადამიანთა უნარშესაძლებლობების განვითარებაზე.

რატომ არის საქართველოს უმრავლეს თრგანიზაციებში მენეჯმენტის ეწ. “ხისტი” სტილი?

ქართველი შეხეჯერები ამ პრობლემის საკვანძო მიზეზად პერსონალის მაღალ ამბიციებს და ამავე დროს მათ თანამშრომელთა არაპროფესიონალიზმს ასახელებენ. ასევე მძაფრია დაპირისპირება ტოპ მენეჯერებსა და ეწ. ხაზით (საშუალო რგოლის მენეჯერი) მენეჯერებს შორის. წარმოგიდგენთ ტოპენეჯმენტის მიერ საშუალო რგოლის მენეჯერებისათვის დასმულ შეკითხვებს:

- რატომ უშლით თანამშრომლებს ლიად დააფიქსირონ საკუთარი აზრი პირდაპირ ჩვენთან, მოგვაწოდონ ინფორმაცია იმაზე რა არ მოსწონთ, მოგვაწოდონ იდეა რის გაკეთება შეიძლება უკეთესად და როგორ?
- რატომ უუბნებით მათ, რომ ეს არასწორია. რომ ეს სუბორდინაციის დარღვევაა, რატომ აიძულებთ მათ მხოლოდ თქვენი მეშვეობით იურთიეროთ ჩვენთან?
- რატომ გინდათ დაგვარწმუნოთ რომ თუ არა თქვენი თავდადება და მონდომება იმის მეათედიც არ გაკეთდებოდა რაც კეთდება, რომ თითქოს ყველა სახლში გაქცევას ლამობს და რომ არავის არ აინტერესებს თრგანიზაციის წარმატება?
- რატომ მაღავთ ადამიანებს ვისაც უფრო მეტი შეუძლია, ვინც რაღაცით გამორჩეულია? რატომ ხედავთ მათში ჩანაცვლების საფრთხეს?

საშუალო რგოლის მენეჯერების შეკითხვები ტოპ მენეჯმენტთან

- რატომ გგონიათ რომ პედაგნიზმის ავტორიტეტის გარეშე არაპროდუქტიულები ვიქნებით?
 - რატომ ფიქრობთ რომ “მათრახის” ქვეშ უფრო ნაკოფიერად ვიმუშავებთ?
 - რატომ გეპარებათ ეჭვი ჩვენს პროფესიონალიზმში?
 - რატომ ფიქრობთ რომ მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ყველა სფეროში ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება?
- ტოპ მენეჯმენტსა და საშუალო რგოლის მენეჯერებს შორის არსებული დაპირისპირება, კიდევ უფრო მეტად უბიძებს “ჰედ ოფისს” “მათრახის” მომარჯვებისაკენ და ასევე საშუალო რგოლის მენეჯმენტს ავგული დამორჩილებისაკენ.
- მათ შორის დაპირისპირების აღმოფხვრის ერთერთ საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია მენეჯმენტის “მამების”

ნაშრომების შესწავლისას ჩვენს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

7 რჩევა მენეჯერებს:

1. ხშირად დაეკითხეთ თანამშრომლებს;
2. დამუხტეთ ძამიანები თქვენს გარშემო;
3. დაეხმარეთ, დაეხმარეთ, დაეხმარეთ იმის აქცებაში რაც მათ მიაჩინათ საჭიროდ;
4. გამოიყენეთ ხელქვეითების გონება შემოქმედებითად;
5. მოქექცი თანამშრომლებს გულისხმიერად;
6. გადაუხადეთ მომსახურე პერსონალს სამართლიანად;
7. შექმენით ორგანიზაციაში სასიამოვნო სამუშაო გარემო.

და ბოლოს დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო ცალსახად საჭიროებს ეფექტიანი მენეჯმენტის განორციელებისათვის საჭირო მეთოების შემუშავებას და უნდა იქნეს გამოტებითი გზა, კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევების კულტურის ჩამოყალიბებისკენ. დღეს ჩვენი ქვეყანა ხასიათდება დემოკრატიის და საბაზო ეკონომიკის რელსებზე გადასვლისკენ აქტიური სწრაფვით, რაც წარმოშობს თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების გამოყენების აუცილებლობას. რა თქმა უნდა, ჩვენ, ვერც ერთი უცხო ქვეყნის მმართველობით ფორმას ვერ დაგნერგავთ ზუსტი „კოპირებით”, მიუხედავად ქვეყნების წარმატებისა, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია კარგად შევისწავლოთ მსოფლიოში არსებული თანამედროვე მენეჯმენტის ტენდენციები, განვსაზღვროთ მისი დადგითი და ურყოფითი მხარეები, დავადგინოთ მისი ჩვენთან შეხების წერტილები და შემდგომ ეს ცოდნა გამოვიყენოთ ჩვენი ეროვნული მართვის მოდელის ჩამოსაყალიბებლად.

ლიტერატურა

Reference:

1. giorgi baRaTuria, oTar baRaTuria - strategiuli dagegmva saxelmwifo marTvisa da biznesis amocanebSi. Tbilisi 2009.
2. nikolo makiaveli – „mTavari“ b. bregvazis winasityvaobiT, Tbilisi, 1984.
3. iujin bardaxi – praqtikuli gzamkvlevi politikis analizSi. rvasafexuriani midgoma problemaTa efeqtianobis mogvarebisatvis. Tbilisi, 2002. gv. 145.
4. giorgi baRaTuria – strategiuli dagegyma, meTodologiuri safuZvlebi. stu, Tbilisi, 2007.

5. P. F. Drucker – Management Challenges for the 21st century (1999)
6. COLLINS BUSINESS, An Imprint of HarpeCollins Publishers.gv. 199
7. Stephen R. Covey. First Things First; (To Live, to Lave, to Learn, to Leave a legacy) STEPHEN R. COVEY A. ROGER MERRILL REBECCA R. MERRILL A Fireside Book Published by SIMON & SCHUSTER New York London Toronto Sydney Tokyo Singapore gv. 361
8. Sean Covey “The 7 Habits of Highly Effective Teens” the natural bestseller, over 1,500,000 copies sold. Jack Canfield and Kimberly Kirberger, coauthors of Chicken Soup for the Teenage Soul. FIRESIDE Rockfeller Center. New York. Copyright in 1998 by Franklin Covey, gv. 268
9. Stephen R. Covey. The 8th Habit; (From Effectiveness to Greatness) FREE PRESS. New York London Toronto Sydney gv. 409
10. Douglas Mcgregor “The human side of enterprise annotated edition” UPDATED AND WITH A NEW COMMENTARY BY JOEL CUTCHER-GERSHENFELD McGraw-Hill New York; Chicago; San Francisco; Lisbon; London; Madrid; Mexico; City Milan; New Delhi; San Juan; Seoul; Singapore; Sydney; Toronto. gv. 403
11. Donald G. Krause, “The way of the leader” Applying the Principles of Sun Tzu and Confucius – Ancient Strategies for the Modern Business World. gv. 176.
12. Gary Yukl – “leadershi in organizations”. University at albany; State University of New York. gv. 542

Natia Koiava, Zaza Koiava

Georgia face to the newest challenges of management

Summary

Modern world is developing faster than ever. We live in a new age where a person with its freedom and rights is priority. Nowadays everything must be adjusted to the interests of an individual or group of individuals. Human being is a main force in any process and the key support during the implementation of organizational processes.

In our near past, human resources were considered only as sources of making profit. There is a new approach today as a modern person has freedom to choose what, when and why. Today it became necessary to coincide the interests of staff and an organization, new approach in management, new goals and objectives and strive for superiority.

Today, management is considered as a process which “turns a disorganized group of people into efficient and organized working group” (Peter Drucker). Achieving such results is possible through effective management and modern methods in the organization.

In order to study the historical factors (to study management as a science), it is important to analyze questions emphasized by an American scientist, a founder of Management, Frederick Winslow Taylor (1856-1915), which convinces us that strictly established rules in an organization are not very effective.

In order to find out more about management methods it is important to know the further theories of Taylor's considerations - Fayol (14 key principles of management), Weber (Characteristics of bureaucracy). Neo classics and behaviorists of the following stage of management development play an important role in management creation and development.

Peter Drucker plays an vitally important part in this process. He is one of the influential theorists of the XX century management who, in fact, formed management as a field of activity. Drucker is called not “Guru” but “arch-guru” or “founding father” in the field of management. More often he is called an apostle, patriarch, prophet. Drucker is a founder of the 21 century management. Since he died (in 2005), “fathers” of management agree on that theoretical development of management is completed and now it is time to put Drucker's theories in practice. In this paper his key recommendations are represented.

Keywords: newe challenges of management, human resources, modern person, Peter Drucker, Neo classics and Behaviorists.

Reviewer: Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Натиа Коива, Заза Коиава
Грузия перед лицом новейших вызовов менеджмента**

Резюме

Современный мир развивается быстрее чем когда либо, мы живем в новой эпохе, в которой приоритетом стал сам человек, с его правами и свободами. Нынче все должно быть приспособлено к интересам индивида и/или группы индивидов. Человек рассматривается как движущая сила любого процесса, в том числе организационного.

В недавнем прошлом человеческий ресурс в организации рассматривался как товар, который надлежало использовать для получения выгоды. В наше время это уже не так, поскольку современный человек свободен в выборе и сам решает чего он желает, зачем и почему. Сегодня возникла необходимость в совмещении интересов персонала и организации, в новом подходе к управлению организацией, в определении новых целей и задач, в постоянном поиске и стремлении к первенству.

Современный менеджмент рассматривается в организации как процесс, который «преобразует неорганизованную массу людей в эффективную и целеустремленную команду» (Петер Друккер). Достижение же обозначенного возможно при осмыслении менеджмента как науки, с учетом исторических факторов и активным внедрением современных методов.

С целью исследования исторических факторов (для изучения менеджмента как науки) важно осмысление вопросов поднятых основоположником менеджмента, Американским ученым, Фредериком Винслоу Тейлором (1856-1915), что должно убедить нас в том, что четко установленных правил в организации недостаточно.

Для постижения методов управления важно также ознакомиться с теориями последователей (Файоль - 14 основных принципов управления, Вебер -рациональная бюрократия и т.д. и т.п.) Тейлора, которые продолжили его теории и доверили их формирование. В истории, развитии и совершенствовании менеджмента свою роль играют Бихевиористы и Нео-Классики.

В развитии менеджмента особо выделяется фигура Петера Друкера являющегося одним из влиятельнейших практиков и теоретиков менеджмента в XX веке, заслуженно получивший в среде занятых в сфере управления людей прозвище «Архи-Гуру» и «отца основателя» современного менеджмента. Он по существу и является основателем менеджмента 21-го века, со временем его кончины (2005 г.) «отцы» менеджмента соглашаются, что «...теоретическое развитие менеджмента прекратилось достигнув высшей точки развития и задача состоит во внедрении теоретических достижений в практику...».

Ключевые слова: новейшие вызовы менеджмента, человеческие ресурсы, современный человек, Петер Друккер, Бихевиористы и Нео-Классики.

Рецензент: Профессор Шота Догонадзе. Грузинский технический университет.

ნერ ოციანიკოვა, თამარ თვალტრელიძე პერსონალის მართვა

არც თუ ისე შორეულ წარსულში, ორგანიზაციაში პერსონალი განიხილებოდა როგორც მხოლოდ მოგების მიღების საშუალება და მათი მართვა ხდებოდა ავტორიტარული სტილით, ადამიანურ რესურსებზე დანახარჯების მინიმუმისაკენ სწრაფვით, მათ შორის კვალიფიკაციის ამაღლებასა და სოციალურ საკითხებზეც, ძირითადად მატერიალური სტიმულების გამოყენებით, შრომის ინდივიდუალური ორგანიზებისა და მისი მკაცრი რეგლამენტირების აქცენტირებით. ყურადღება არ უქცეოდა ადამიანურ ურთიერთობებს, მათ მოტივირებას და სტიმულირებას, პრიორიტეტი ენიჭებოდა მხოლოდ ორგანიზაციის ინტერესებს. დღეს ასე არ არის, რადგან თანამედროვე ადამიანი არჩევანში თავისუფალია და ის თვითონ წყვეტს თუ რა, რისთვის და რატომ უნდა, დღეს ადამიანი ორგანიზაციის არსებობისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსია. პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები უკვე „სამწუხარო დანახარჯებად“ კი არ განიხილება, არამედ შორსგამიზნულ ინვესტიციად ადამიანურ კაპიტალში, რომელზეც მნიშვნელოვნებადა დამოკიდებული ორგანიზაციის წარმატებები. ადამიანური რესურსების მართვა მიმართულია პრინციპულად ახალი, გლობალური, პერსპექტიული ამოცანების გადაწყვეტისკენ, იმისათვის, რომ ორგანიზაცია განვითარდეს, საჭირო გახდა მომუშავე პერსონალის და ორგანიზაციული ინტერესების თანხევდრა, რათა ორგანიზაციაში რაც შეიძლება წარმატებით მიაღწიოს როგორც ოკერატიულ, ისე სტრატეგიულ მიზნებს.

პერსონალის მართვა – ესაა ყველა ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი მმართველობითი საქმიანობა, რომლის მიზანია, ორგანიზაციის პერსონალით უზრუნველყოფის, მისი რაციონალური გამოყენებისა და ადამიანთა მოტივაციის მიზნობრივი მართვის საფუძველზე საქმიანობის საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევა.

ზოგიერთი ავტორი პერსონალის მართვის განვითარებაში გამოყოფს ორ მთავარ ეტაპს: კადრების მართვას და ადამიანური რესურსების მართვას. წარმოების ეფოლუციის

პირობებში ხდება გლობალური, ტექნოლოგიური და სტრუქტურული ცვლილებები, იზრდება კონკურენციის დონე და საწარმოთა მოქნილობა. ამას თან ახლავს საწარმოთა დეცენტრალიზაცია და პრივატიზაცია. ყოველივე ზემოაღნიშვნელმა გამოიწვია პერსონალის მართვის საკადრო ფუნქციის გადაზრდა ადამიანური რესურსების მართვაში. პერსონალის მართვის განვითარების ეს ორი ეტაპი შეესაბამება საზოგადოების განვითარების ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ სტადიებს, თუმცა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაშიც არსებობს საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კადრების მართვის ეტაპზე.

ადამიანური რესურსების მართვისთვის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ მსოფლიოში მზარდი გლობალური კონკურენციის პირობებში ეროვნული კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორებია არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები, როგორც თვლიდნენ კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, არამედ მაღალკალიფიცირებული ადამიანური რესურსები და სამეცნიერო ბაზა. ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს მიწის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას.

პერსონალის მართვის უპირველესი მიზანია ორგანიზაციის მისის, სტრატეგიული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის პროცესის ყველაზე მთავარით – შესაბამისი ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა და ამ რესურსების ეფექტური გამოყენება.

ორგანიზაციის (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ფირმა, დაწესებულება, უწყება, კომპანია და ა.შ.) სტრუქტურული ქვედანაყოფები, როგორც ვიცით, ორ ჯგუფად – ხაზით და ფუნქციურ ქვედანაყოფად იყოფიან. ხაზით ქვედანაყოფები ორგანიზაციის მისიდან და სტრატეგიდან გამომდინარე ძირითად მიზნებსა და ამოცანებს ახორციელებენ; ფუნქციური ქვედანაყოფები მთლიან ორგანიზაციისა და მისი ყოველი ქვედანაყოფის ნორმალურ, წარმატებულ მუშაობას უწყობენ ხელს.

მართალია პერსონალი ორგანიზაციის აუცილებელი, თავისებური, არაორდინარული, შეუცვლელი, აქტიური, შემოქმედებითი და ა.შ. ნაწილი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი კომპონენტია; პერსონალის დაგეგმვა უნდა განვიხილოთ, როგორც მთლიანად ორგანიზაციის ოპერატორული, თუ სტრატეგიული დაგეგმვის ერთიანი სისტემის შემადგენელი

ნაწილი. ასეთი მიღება თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ ორგანიზაციის მისია, მიზნები, ამოცანები, ფუნქციები, პრიორიტეტები, შიდა და გარე ურთიერთობები, ორგანიზაციული სტრუქტურა და ა.შ. არსებით გავლენას ახდენენ ადამიანური კაპიტალის ნებისმიერ მასასიათებელზე – მათ რაოდგნობაზე, პროფესიულ შემადგენლობაზე, ხელფასის ფონდზე, მუშაობის მეთოდებზე და ა.შ.

პერსონალის მართვის სტრატეგიასა და პოლიტიკაზე დაეფუძნებულია პერსონალის მართვის სტრატეგიული, პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება-სრულყოფის ძირითადი, კონკრეტული მიზნები და ამოცანები შედარებით ხანგრძლივი პერიოდისთვის.

პერსონალის მართვისა და მათი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია აღმინისტრაციისა და უშეალოდ საკადრო სამსახურის მიერ პერსონალის მართვისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელება, რაც საკმაოდ რთულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მრავალკომპონენტიან სისტემას წარმოადგენს, რომლის ყოველ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს და სინქრონულად უნდა ვთარღებოდნენ.

თავდაპირველად, აუცილებელია დაწესებულების მისიღან, მიზნებიდან და ძირითადი ფუნქციებიდან გამომდინარე განსაზღვრული იყოს მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, ხოლო შემდეგ – რა რაოდგნობის, პროცესიების, კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების მომუშავეებია საჭირო დაწესებულების თითოეულ სტრუქტურულ ქადანაყოფში.

პერსონალის მართვის უპირველესი საფუძველი და წინაპირობა არის ყოველი თანამდებობის მიხედვით შესასრულებელ სამუშაოთა აღწერა-დახსასიათება, ამ სამუშაოთა შემსრულებლისათვის წარგნებული პროფესიულ-კვალიფიკაციური და პიროვნული მოთხოვნების, თანამდებობრივი ვალდებულებებისა და ინსტრუქციების განსაზღვრა; შემდეგი ეტაპია პერსონალის მოზიდვა და შერჩევა, რომლის სამი ფორმა არსებობს: კანდიდატთა ორგანიზაციის გარედან მოზიდვა, თვით ამ ორგანიზაციაში მომუშავეთა დაწინაურება და ასევე ორგანიზაციის შეგნით მომუშავეთა როტაცია, როცა ახალი, მაგრამ არსებითად იმავე რანგის თანამდებობის დაკავება ხდება.

პერსონალის მართვის მნიშვნელოვანი და ფაქტიზი პროცედურაა ახალმიღებულ მომუშავეთა ადაპტირება მათი დასაქმების უშალო ადგილას (სტრუქტურულ ქვდანაყოფებში) და მთლიანად ორგანიზაციაში. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება მოწმობს, რომ ახალმიღებულ მომუშავეთაგან, რომელიც მაღლე ტოვებენ სამუშაოს, უმრავლესობის წასვლის მიხეზი ხშირად ორგანიზაციის, მისი თავისებურების, შრომისა და ორგანიზაციული კულტურის, კოლეგების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა. მომუშავის ახალ გარემოში ადაპტირებამ მას უნდა მისცეს სათანადო ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების, პოლიტიკის შესახებ საერთო წარმოდგენა;
- შრომის ანაზღაურება და დამატებითი შეღავათები;
- მომუშავეთა ის წრე, ვისთანაც უშალო კონტაქტები ექნება;
- მისი სტრუქტურული ქვდანაყოფის ძირითადი ფუნქციები, მუშაობის ფორმები;
- შრომის პირობები;
- ორგანიზაციის შინაგანაწესი;
- ფორმალური და არაფორმალური ურთიერთობები კოლეგებს შორის და სხვ.

ამასთანავე, აუცილებელია მომუშავებს შევუქმნათ შრომის სათანადო პირობები, უპირველესად კი: შრომის სათანადო გარემო პირობები; სამუშაო ადგილების სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა; ადამიანებს შორის ურთიერთობები; ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი.

პერსონალის მართვის ეფექტიანი საქმიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა ყოველი თანამშრომლის მუშაობის დაგვამზის, მონიტორინგისა და ანგარიშების ქმედითი სისტემის არსებობა. პერსონალის მართვის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი და შესაბამისი პროცედურებია ერთი მხირვ, თვით მომუშავის, ანუ თანამდებობის (სამუშაოს) მოთხოვნებთან მისი პროფესულ-კვალიფიკაციური და პიროვნული თვისებების შესაბამისობის, ხოლო, მეორე მხრივ, იმის შეფასება, თუ როგორ ასრულებს მომუშავე სამუშაოს, თავის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს; ანუ ესაა თვით მომუშავისა და მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება, რაც საერთოდ პერსონალის მართვისა და მათ შორის, მისი

ისეთი პრიორიტეტული პროცედურის განხორციელების წინაპირობაა, როგორიცაა ატესტირება.

პერსონალის მართვის სხვა პროცედურებიდან აღსანიშნავია ორი მნიშვნელოვანი, რომლებიც ატესტირების შედეგების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, ესენია:

- პერსონალის გადაადგილება და კარიერის მართვა;
- ტრეინინგების მოთხოვნათა განსაზღვრა, მისი ორგანიზება და ეფექტურიანობის შეფასება.

პერსონალის მართვის მეთოდოლოგია ორგანიზაციის პერსონალს განიხილავს, როგორც მართვის ობიექტს, ორგანიზაციის მიზნებისა და მოცანების, პერსონალის მართვის მეთოდებისა და პრინციპების შესაბამის ინდივიდთა ქვევის ფორმირების პროცესს.

პერსონალის მართვის სისტემა გულისხმობს პერსონალის მართვის მიზნების, ფუნქციებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებას. იგი მოიცავს, აგრეთვე, მმართველობით გადაწყვეტილებათა დასაბუთების, დამუშავების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესში ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების ფუნქციური ურთიერთკავშირების ფორმირებას.

პერსონალის მართვის ტექნილოგიაში იგულისხმება დაქირავების, შერჩევის, პერსონალის საქმიანი შეფასების, პროფორიენტაციისა და ადაპტაციის, სწავლების, საქმიანი კარიერისა და სამსახურებრივ-პროფესიონალური დაწინაურების, შრომის მოტივაციისა და ორგანიზაციის, კონფლიქტებისა და სტრესების მართვის, ორგანიზაციის სოციალური განვითარების უზრუნველყოფის, პერსონალის გამოთავისუფლებისა და სხვათა ორგანიზაცია. პერსონალის მართვის ორგანიზაციაში შედის აგრეთვე ისეთი საქითხები, როგორიცაა: ორგანიზაციის ხელმძღვანელთა კავშირურთიერთობა პროფესიონებთან, დასაქმების სამსახურებთან და სხვ.

ამჟამად პერსონალის მართვის კონცეფციის საფუძველია მომუშავის პიროვნების მზარდი როლი, მის მოტივაციურ განწყობილებათა ცოდნა, მათი ფორმირებისა და მათვის ორგანიზაციის წინაშე მდგომი ამოცანების შესაბამისი მიმართულების მიცემის უნარი.

იმისათვის, რომ ორგანიზაციაში წარმატებით მიაღწიოს თავის მიზნებს საკმარისი არა იყო მიზანული, ტექნიკური, რესურსული საკითხების გადაწყვეტა და კალიფიკაციური

პერსონალის მოზიდვა; ყოველივე ამასთან ერთად, აუცილებელია შრომის პროცესის ისეთი ორგანიზება, რომ ყოველძარღვის მომუშავები მაქსიმალური ძალისხმევა და დაინტერესება გამოავლინოს დასახულ ამოცანათა მისაღწევად. ისტორია, მეცნიერებული გამოკვლევები, პრაქტიკული ცხოვრება და გამოცდილება ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ადამიანმა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიაღწიოს თავის მიზნებს და მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი უნარ-შესაძლებლობები, როცა ის სათანადოდაა მოტივირებული, როცა მას საამისოდ რეალური სტიმულები აქვს.

მოტივირება ადამიანის იმ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული შინაგანი მდგომარეობაა, რომლებიც სტიმულს აძლევენ მის მოქმედებებს და დასახული მიზნების მისაღწევად წარმართავენ.

მოტივირება უშუალოდ და განუყოფელადაა დაკავშირებული ადამიანის მოთხოვნილებებთან. როდესაც ადამიანები მუშაობას იწყებენ, ცდილობენ დაიგრაფოვილონ სხვადასხვა მოთხოვნილება, რომლებიც შეიძლება ხშირად სათანადოდ გაცნობირებულიც კი არ ჰქონდეთ.

მასლოუს მიხედვით ადამიანის მოთხოვნილებათა იერარქიის 1-2 პირველადი ფიზიოლოგიური და უსფრთხოების მოთხოვნილებებია, მეორადი კი – სოციალური, აღიარება-პატივისცემის და თვითგამოხატვის.

როგორც უკვე აკლიშენეთ, ბევრ ადამიანს ახალი სამუშაოს დაწყებისა და ახალ ორგანიზაციაში სამომავლო საქმიანობის მოტივები, როგორც წესი, დეტალურად, კონკრეტულად და სისტემურად ჩამოყალიბებული არა აქს. შეიძლება ერთი-ორი, მისთვის მთავარი და პრიორიტეტული მოტივი ჰქონდეს გაცნობიერებული, ხოლო დანარჩენები ინტეიციურ, ქვეცნობიერ დონეზე, ან სრულიად არ იყოს ჩამოყალიბებული და საქმიანობის შემდგომ ეტაპზე გამოჩნდეს.

ამ თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის პერსონალის მართვის სამსახურის, როგორც მეთოდურ-მაკორდინირებელი ქვედანაყოფის და განსაკუთრებით ხაზით მენეჯერთა როლი და ფუნქციები; მათ და საზოგადოდ, ნებისმიერმა მენეჯერმა უნდა იცოდნენ და ცდილობდნენ უკეთ გაიგონ, თუ რა კონკრეტული მოტივები, მოთხოვნილებები და ინტერესები ამოძრავებით მათზე უშუალო დაქვემდებარებულებს, რისეკნ ისწრაფვიან, რას ელოდებიან ხელ და ზეგ ისინი, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ მათ თავიანთ საქმიანობაში, რა

შეუწყობს ხელს მათი მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვან ზრდას და სხვა.

ნებისმიერი ორგანიზაციის პერსონალის მართვისას ყველას და განსაკუთრებით ხელმძღვანელებს აუცილებლად უნდა ახსოვდეთ, რომ ეს არა მხოლოდ და არა იმდენად ტექნოლოგიები, პროცედურები, დოკუმენტები და რეგლამენტია, რამდენადაც ხელოვნება. არ შეიძლება არსებობდეს „სტანდარტული ადამიანი“, სწორედ ამიტომაც ადამიანთა მართვა ხელოვნებაა, რომელიც არა მხოლოდ მათ ფუნქციურ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, არამედ მათ გრძნობებს, განწყობას, სულიერებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებსაც უკავშირდება. ეს თავისებურებები აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული პერსონალის მართვის სტრატეგიისა და პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზებისას ნებისმიერ ორგანიზაციაში.

ლიტერატურა

Reference:

1. cincaZe, g. baRaTuria, q. qoqraSvili, m. mamardaSvili, g. xomeriki, o.bagaTuria, v. mkrtiCiani. saxelmwifo politika. Tbilisi 2002
2. giorgi baRaTuria, oTar baRaTuria. strategiuli dagegmva saxelmwifo marTvisa da biznesis amocanebSi. Tbilisi 2009
3. P. Drusker. The Practive of Management (1954)
4. Douglas Mcgregor “The human side of enterprise annotated edition” UPDATED AND WITH A NEW COMMENTARY BY JOEL CUTCHER-GERSHENFELD McGraw-Hill New York; 88. 403.
5. Gary Yukl. Leadershi in organizations. University at albany; State University of New York. p. 542.
6. Маслоу А. Г. Мотивация и личность. - СПб.: Евразия, 1999. 478 с.

Nunu Ovsyannikova, Tamar Tvalchrelidze
Some aspects of the staff management

Summary

Some aspects of the staff management focusing on the following issues are discussed in the work: definition of organizational structure, staff planning, coincidence of personnel and organizational interesets, motives, description of the workload performed according to the possition, personnel and proffesional-qualification demands, determination of job obligations

and instructions, attraction and selection of the staff, adaptation of recruits and creating the relevant conditions for them, work planning, monitoring and effective reporting system, testing and realization of other important issues which are the fundamentals for effective development of the organization in modern era.

Keywords: staff management, motives,

Reviewer: Professor Otar Kochoradze, Georgian Technical University

Нуну Овсянникова, Тамара Твалчрелидзе
Некоторые аспекты управления персоналом

Резюме

В предлежащем труде рассмотрены некоторые аспекты управления персоналом.

Внимание заострено на таком важном аспекте, каким является реализация следующих важных вопросов: определение организационной структуры; планирование персонала; сочетание интересов персонала и организаций; мотивации персонала; описание-характеризация действий по должностям; профессионально-квалификационных и личностных требований; определения должностных обязательств и инструкции; привлечения и отбора персонала; адаптаций новобранцев и создания для них соответствующих условий труда; планирования работ каждого сотрудника; создания эффективной системы отчетности и мониторинга; тестирования и др.

Подчеркнуто фундаментальное значение и важность реализаций перечисленных выше вопросов для эффективного развития организаций в соответствии с современным уровнем требований.

Ключевые слова: управление персоналом, мотивация, мониторинг

Рецензент: Профессор Отар Кочорадзе . Грузинский технический университет.

ი ს ტ რ ი პ

ცისანა ძათათვლაშვილი
ნოე ქორდანიასა და ორებ ჯუდაშვილის ურთიერთობები
მე-20 საუკუნის დასაწყისში

საქართველოში ეროვნული სახელწიფოს აღდგენისთვის პოლიტიკური ბრძოლის მთავარი ეტაპი მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო როცა რუსეთის იმპერიის ძლიერებას სერიოზული ბზარები გაუჩნდა. ქართველი ხალხი ცდილობდა ხელსაყრელი ვითარების გამოყენებას და ენერგიულად იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსაღენად.

1892 წლის დეკემბრის დამლევს ენინოშვილისა და მცხაკაიას ინიციატივით ზესტაფონში გამართულ მარქსისტულად განწყობილ ინტელიგენტთა კრებაზე შეიქმნა ახალი მიმდინარეობა რომელსაც „მეორე დასის“ მეთაურმა გიორგი წერეთელმა „მესამი დასი“ უწოდა. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ეგნატე ნინოშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ქორდანია, კარლო ჩხეიძე, ისიდორე რამიშვილი და სხვა. ეს ჯგუფი იყო მუშათა ხალხის ინტერესების დამცველი და მარქსიზმის მიმღევარი. მათ საქართველოს სოციალ-ეროვნული მოძრაობა მთელი რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად მიაჩნდათ და ეროვნული და სოციალური საზოგადოების შექმნას პროგნოსტიკური ამჟარებდნენ. რამდენიმე წილიწადში ეს ჯგუფი ერთიან სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციად გაერთიანდა, მათი მიზანი იყო ბურჟუაზიული წესით და სოციალისტურის დამყარება.

ეს ორგანიზაცია დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის მიმღევარი იყო, რაც ლენინს ძალიან აღიზანებდა. რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერები ცდილობდნენ, თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ რუსეთის იმპერიის უკედა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რათა შემდეგ მათი გაერთიანების საფუძველზე შექმნათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია (რსდმპ). ამ პროცესს ხელს უშლიდა დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიული

იდების მიმდევარი „მესამი დასი” და მისი ლიდერი ნოე ქორდანია.

ლენინისათვის ნოე ქორდანის დამარცხება ადგილი საქმე არ იყო, აუცილებელი იყო ნოე ქორდანიასთვის დაეპირისპირებინათ ისეთი ქართველი სოციალ-დემოკრატი, რომელიც საქართველოში შესძლებდა რუსული სოციალ-დემოკრატიული იდების დამკიდრებას.

1898-1900 წელისთვის ლენინს ასეთი პიროვნება ჯერ შერჩეული არ ჰყავდა. მიმდინარე პროცესს იოსებ ჯუდაშვილმა კარგად აუღო ალღო. მან საქართველოში ლენინისგან დამოუკიდებლად იკისრა რუსული სოციალ-დემოკრატიის მედროვეშეობა. იოსებ სტალინის არჩევანი განაპირობა შემდგომმა მიზეზებმა. სტალინი კარგად გრძნობდა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატია საბოლოოდ მაინც დათრგუნავდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდების მიმდევარ „მესამე დასი”. სტალინი უფრო პერსპექტიული ძალების მხარეზე დადგა. მან დაარსა რუსეთის სოციალ-დემოკრატიის იდების მიმდევარი ორგანიზაცია „რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატიის დასი” და არალეგალური გაზეთი „ბრძოლა” (1900-1901 წწ.) გამოსცა. გამოვიდა 4 ნომერი, № 1; 2; 3 დაიტექდა ბაქოს არალეგალურ სტამბა „ნიშანში”, №4 კი რსდმპ თბილისის კომიტეტის სტამბაში. გაზეთის დაარსებაში მონაწილეობა მიიღეს ლეკციონებმა, ი.სტალინმა, ა.წულუკიძემ და სხვებმა. „ბრძოლა” ლენინურ „ისრკის” პოზიციაზე იდგა, აშექებდა რუსულ და ადგილობრივ სოციალ-დემოკრატთა ორგანიზაციების საქამიანობას, იბრძოდა „ლეგალური მარქსიზმის”, „ეპონომიზმის”, ამიერკავკასიის ნაციონალისტების წინააღმდეგ. „ისკრიმ” (№13, 1901 წლის 20 დეკემბერი) „ბრძოლის” გამოხვდა აღნიშნა როგორც დოდნიშნებულოვანი მოვლენა. 1903 წელს კაგასიის სოციალ-დემოკრატიი ორგანიზაციების პირველი ყრილობის გადაწყვეტილებით „ბრძოლა” და გაზეთი „პროლეტარიატ” ერთ ორგანოდ - „პროლეტარიატის ბრძოლად” გაერთიანდა. გაზეთი „ბრძოლა” თავის ფურცლებზე არკვევდა რევოლციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის უახლოეს ამოცანებს და საბოლოო მიხნებს. პარტიის უახლოესი ამოცანა იყო სახალხო რევოლუცის წარმართვა თვითმშეყრობელობის დასამხობად, რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის უზრუნველყოფა და ბურგუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბოლომდე

მიყვანა. ბურუუაზიულ დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას გზა უნდა გაეწმინდა პროლეტარიატის დიქატატურის აღმოცენებისა და საბოლოო გამარჯვებისათვის..

ასევე გაზეთი „ბრძოლა“ ნაციონალისტური მიმდინარეობის როლზე საზოგადებრივ მოძრაობაში წერდა, რომ ეს მიმდინარეობა, რომელსაც მესამედასელთა ოპორტუნისტული ჯგუფი დემოკრატიულ სახალხო მოძრაობად აცხადებდა, სინამდვილეში გამოხატავდა ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდი ნაციონალური ბურუუაზის ინტერესებს და მას არ შეეძლო ქართველი ხალხისათვის ეროვნული თავისუფლების მოპოვება.

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკით გაღიზიანებული ქართველი ბურუუაზიული ინტელიგენცია ცდილობდა ხალხის თანაგრძობის მოპოვებას, როცა ის რუსეთს ზურგს აქცევდა და მთელი არსებით დასავლეთ ევროპისკენ იღებოდა.

ამრიგად, საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა ნოე ჟორდანიას და სტალინის მიმდინარეობები. ნოე ჟორდანია კარგად გრძნობდა, რომ სტალინის უკან რუსეთის სოციალ-დემოკრატია იდგა, რაც სტალინის გამარჯვების შანსს ზრდიდა. სტალინმა კარგად იცოდა, რომე „მესამე დასი“ საგმაოდ ძლიერი ორგანიზაცია იყო და მისი დამარცხება ადვილი არ იქნებოდა. ასე დაიწყო ნოე ჟორდანიას და იოსებ ჯუღაშვილის დაპირისპირება.

ჟორდანია ჯუღაშვილს პირველად 1898 წელს შეჩვდა, როდესაც იგი მეშაობდა, რუსეთის იმპერიაში პირველ ლეგალური მარქსისტული გაზეთ კვალში. ჯუღაშვილი რედაქციას ეწვია და გაეცნო როგორც გაზეთის მოყვარულ მკითხველად და თავდადებულ სოციალისტად, აგრეთვე გააცნო თავისი გადაწყვეტილება მიეტოვებინა სწავლა ტიფლისის სასულიერო სემინარიაში და შეერთებოდა მუშათა მოძრაობას. ჟორდანიამ აქტებში დააყენა მოწადინებული ახალგაზრდა კაცის მოსაზრებები და იგი შეეკითხა თუ რამე იცოდა სოციოლოგიაზე, ისტორიაზე და პოლიტიკურ ეკონომიკაზე. ჯუღაშვილი თითქმის ყველაფერში ჩაიჭრა. მთელი მისი განათლება ზემოხსენებულ საგნებთან დაკავშირებით შემოფარგლულიყო გაზეთი კვალის სტატიების მიხედვით. ჟორდანიამ ჯუღაშვილს ისევ სემინარიაში სწავლის გაგრძელება შესთავაზა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ლიდერები და ლენინი ამ დაპირისპირებას დიდი ყურადღებით აღვნებდნენ თვალს.

პირველმა წლებმა ნოე ქორდანიას სერიოზული წარმატებები მოუტანა. მიუხედავდ იმის, რომ 1903 წელს ლენინმა მთახერხა „მესამე დასის” ლიკვიდაცია, ნოე ქორდანიას ავტორიტეტი მაინც იზრდებოდა ხოლო ქორდანია, როგორც ქართული სოციალ-დემოკრატის სახე, ისე იყო რსდპ-ს მე-2 ყრილობაზე (1903 წ.), რსდპ-ს მე-4 ყრილობაზე (1906 წ.), რსდპს-ს მე-5 ყრილობაზე (1907 წ.). ამ დროისთვის ჯუდაშვილი, ჯერჯერობით, უმნიშვნელო სოციალ-დემოკრატიად რჩებოდა.

სტალინის სამოქმედო გეგმა ამჯერადაც მარტივი იყო. მას შემდეგ, რაც რსდმპ მენშევიკურ და ბოლშევიკურ ფრაქციებად გაიყო, ლენინი და ქორდანია უფრო და უფრო უპირისპირდებონდნ ერთმანეთს. ლენინი არ დაუშვებდა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატიის ლიდერი ნოე ქორდანია ყიფილიყო და სქართველოს დამოუკიდებლობა მოეპოვებინა. ასეთ ვითარებაში საქართველოში ძალიან აქტიურობდა ბოლშევიკი იოსებ ჯუდაშვილი, რომელიც თავგამოდებით ებრძოდა მენშევიკ ქორდანიას.

მძიმედ ვითარდებოდა ჯუდაშვილისა და ნოე ქორდანიას ურთიერთობა. ჯუდაშვილი ქორდანიას ლიდერად არ თვლიდა. სასაცილოდ იგდებდა და საჯაროდ ამცირდებდა. 1904 წელს საქართველოდან სახლვარგარეთ ლენინისთვის გაგზავნილ წერილში იოსებ ჯუდაშვილი ქორდანიას ვირად მოიხსენიებს. იგი წერდა: „ნოე ქორდანია, საუბრობს სულსა და მატერიაზე, მაგრამ მე მგონი, მატერიაში ჩითის მატერიას გულისხმობს; ამ ვირს ვერ გაუგიზა, რომ მის წინაშე გაზეთ „კალის” აუდიტორია აღარ არის”. ლენინი და მისი თანამოარზეები მიხვდნენ, რომ ჯუდაშვილი მათ საქმეს აქეთებდა. მიუხედავდ ლენინისა და ბოლშევიკების აქტიური მხარდაჭერისა, სტალინმა ქორდანიას ავტორიტეტი ვერ შეარყია. 1907 წელს სტალინმა საქართველო დატოვა და რუსეთში წავიდა. 1907 წლის შემდეგ, სტალინს და ქორდანიას ურთიერთობა, პრაქტიკულად, აღარ ჰქონიათ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობის სათავეში ქართველი სოციალ-დემოკრატების მოსკვლამ ჯუდაშვილი უკიდურესად გააღიზიანა. გარევეული პერიოდის შემდეგ თვით ლენინი გახდა იძულებული ეცნო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და ტერიტორიული მთლიანობა. ჯუდაშვილი იყო ერთადერთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც ბოლომდე ეწინააღმდეგებოდა. 1920 წლის 7 მაისს მოსკოვში მაინც

მოქარდა ხელი საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების. საბჭოთა რუსეთმა დე იურედ სცნოს საქართველოს რესპუბლიკა. რუსეთმა აღიარა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. ჯუდაშვილს უკან მაინც არ დაუხვია, რადგან მოსკოვში, ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად ჩასულ ქართველ სოციალ-დემოკრატის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრს გრიგოლ ურუგაძეს გაღიზიანებულმა ჯუდაშვილმა ქართულად მიმართა: “გრიშა, ბიჭო, შენ მართლა ფიქრობ, რომ რუსეთი ბათუმს ასე ადვილად დაომობს?”[1] ამ სიტყვებით ყველაფერი ნათლად ჩანდა.

ქართველების სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველოს დამოუკიდებლობა დახურულ თემად არასდროს იყო, ეს ხანგრძლივი მოვლენა აღმოჩნდა რადგან მიმდინარეობდა ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი. ნოე ქორდანის თქმით, „დამოუკიდებლობა იყო ისტორიული და მძიმე მოვლენა“.[5]

მრავალი წლის შემდეგ სტალინის ძალაუფლების მთავარი წარმატების მიზეზი დაუნდობელი მმართველობა იყო რომელმაც ტროციც კი დაამარცხა. ჟორდანიას ემბრაციაში წასვლის შემდეგ, სტალინისთვის იგი დიდ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა. ოუმცა, ჟორდანია თავის წერილებში საბჭოთა ხისტემის ნამდვილ ბუნებას და სახეს წარმოაჩენდა. ჟორდანია, რომლესაც ხანძოებდ ეკავა სახელმწიფოს მეთაურის პოსტი, იძულებით დევნილობაში აღმოჩნდა.

ლიტერატურა

References:

- [1. http://gumbati.ge/?address=cat&cat=13&id=2245](http://gumbati.ge/?address=cat&cat=13&id=2245)
- [2. http://books.google.ge/books?id=9_F-9YJE8vgC&pg=PA183&lpg=PA183&dq=jordania+stalin&source=bl&ots=rz_6ipKr-x&sig=mj5D04u_6B5gZC6vzfFGcp-vZs0&hl=en&sa=X&ei=pqtNUNrrJlbSsgbHv4DYAw&ved=0CDcQ6AEwAzgU#v=onepage&q=jordania%20stalin&f=true](http://books.google.ge/books?id=9_F-9YJE8vgC&pg=PA183&lpg=PA183&dq=jordania+stalin&source=bl&ots=rz_6ipKr-x&sig=mj5D04u_6B5gZC6vzfFGcp-vZs0&hl=en&sa=X&ei=pqtNUNrrJlbSsgbHv4DYAw&ved=0CDcQ6AEwAzgU#v=onepage&q=jordania%20stalin&f=true)
3. dimitri SveliZe gza dasavleTisaken gamomcemloba „universali“ Tbilisi 2012
4. [4. http://www.scribd.com/doc/72947910/ \(27.09.2012\)](http://www.scribd.com/doc/72947910/)
5. [5. http://books.google.ge/books?id=riW0kKzat2sC&pg=PA144&source=gb_s_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false \(27.09.2012\)](http://books.google.ge/books?id=riW0kKzat2sC&pg=PA144&source=gb_s_toc_r&cad=4#v=onepage&q&f=false)

Tsisana Kutatladze

The relationship of Noe Zhordania and Joseph Stalin in the early 20-th century

Summary

In the topic „The relationship of Noe Zhordania and Joseph Stalin in the early 20-th century” is presented the first steps of the political combat between the twentieth century’s prominent political figures - the first head of the independent Georgian Republic Noe Zhordania and Joseph Stalin and the different visions of their discriminated political ideology.

Keywords: Noe Zhordania, Joseph Stalin, political ideology.

Reviewer: Professor Ketevan Jijeishvili, Georgian Technical University

Цисана Кутателадзе

Отношения Иосифа Сталина и Ноя Жорданий в начале 20-го века

Резюме

В теме „Отношения Иосифа Сталина и Ноя Жордания в начале 20-го века” представлены первые шаги политического сражения между двумя известными Грузинскими политическими фигурами - первым главой Грузинской независимой республики Ноя Жордания и Иосифом Сталиным, а также их различные политические взгляды.

Ключевые слова: Ной Жордания, Иосиф Сталин, политические взгляды

Рецензент: Профессор Кетеван Джиджеишвили. Грузинский технический университет.

**მანანა დარჩაშვილი, გიორგი ჩხიძეშვილი
ქართული პრესის როლი პოლიტიკურ პოლიტიკურ**

XX-ე საუკუნის დასაწყისში ქართული პრესა პოლიტიკურ პროცესში ჩართულობით გარეეულწილად ახერხებდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე გავლენას. ამ პერიოდში პოლიტიკური გაერთიანებები ძირითადად პრესის საშუალებით მოქმედებდნენ, შესაბამისად პრესა მათვის აზრის გამოხატვის და ინფორმაციის საშუალების გარდა, დაბაძულ პოლიტიკურ მოქნებში, საზოგადოებრივი განწყობის შექმნისათვისაც დიდ როლს იკავებდა.

XX-ე საუკუნის დასაწყისში რუსეთი, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა ვერ ეგუებოდა, იმ საფრთხეს, რომელიც ქვეყანაში პირველმა რევოლუციამ შეუქმნა იმპერიის თვითმკურობელური ხელისუფლების არსებობას. მთელს ტერიტორიაზე გაძლიერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საგალალო მდგომარეობაში აგდებდა იმპერიის მთლიანობას. განაპირა მხარეებში, კერძოდ, სამხრეთ კავკასიაში, რევოლუციური ბრძოლა, ამავე დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაც იყო. ისინი იბრძოდნენ როგორც სოციალური, ისე ეროვნული თავისუფლებისათვის, რაც მეფის ხელისუფლებას განსაკუთრებით აშინებდა.

აზვირთებული რევოლუციური ბრძოლის ჩასახშობად მეფის ხელისუფლებამ გამოიყენა რეპრესიული ზომები. ამასთან სცადა გაედგივებინა ეროვნული შუღლი მოსახლეობაში, გაეთიშა რევოლუციური ძალები. სამხრეთ კავკასიაში ცდილობდა ერთმანეთისთვის წაეკიდა ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები, ამით ჩამოჟმორებინა ისინი რევოლუციისათვის.

მეფის ხელისუფლებამ ბაქოში 1905 წლის 6-9 თებერვალს პროგრაციულად გამოიწვია სომებთა და აზერბაიჯანელთა შორის კონფლიქტი, რომელიც მთელი წლის მანძილზე გაგრძელდა ინტერვალებით. კონფლიქტის ძირითადი ეპიცენტრები აზერბაიჯნის ტერიტორიაზე იყო. თუმცა მისი გავრცელების საშიშროება საქართველოს ტერიტორიაზეც შეიქმნა. ქართველობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა არ დაშვა შემდგომი გართულებები – კონფლიქტის გავრცელება საქართველოში.

სომებთა და აზერბაიჯანელთა კონფლიქტის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა ცნობილი. თუმცა,

ქართული დემოკრატიული პრესის როლს, რომელიც გამოხატავდა პოლიტიკური მიმდინარეობების, ქართველი მოწინავე საზოგადოების შეხედულებებს, მოქმედებას და ბრძოლის გზებს სიტუაციის მართვისათვის, რაც თავისთავად დიდ როლს ასრულებდა არსებულ ვითარებაში, ჩვენამდე (მდ.) სპეციალურად მკვლევარები არ შეხებიან. ამდენად, საკითხის შესწავლა-წარმოხენა საინტერესო და აქტუალურია.

აღნიშნული პერიოდის ქართული პრესა ცდილობდა საზოგადოების წინაშე მეფის მთავრობის ბინძური ჩანაფიქრის გამოაშეარავებას. აშექებდა კონფლიქტის მსვლელობას, მაქსიმალურად ცდილობდა მასში გამაჯანსაღებელი როლი ეთამაშა.

აღსანიშნავია, რომ სომებთა და აზერბაიჯანელთა კონფლიქტს ამ პერიოდში არსებული საზოგადოების ყველა ფენა, ყველა პოლიტიკური მიმდინარეობა გამოეხმაურა, მათ ყველას ერთნაირი, მშვიდობისმოყვარული პოზიცია ეკავა.

თვითმპერობელობა ყოველთვის ცდილობდა კავკასიელ ხალხთა შორის უთანხმოება ჩამოევდო. ეჭვს გარეშე, რომ სომების და აზერბაიჯნელების შეტაკება მნიშვნელოვანი იყო მისი პოლოტიკის გამარჯვებისათვის. სწორედ ამიტომ, ადგილობრივ აღმინისტრაციას, კონფლიქტის დაწყებიდან სამი დღის განმავლობაში არავითარი ზომა არ მიუღია მშვიდობის აღსაღებად. „იგი თოფ-ზარბაზნებით მაშინ გამოდის ქუჩაში, როდესაც ხალხი მთავრობის წინააღმდეგ გაილაშქრებს ხოლმე, ხოლო ერთი ხალხი, მეორე ხალხს რომ დაერიოს და ამოსწყვიტოს იგი, მთავრობა თავს არ გაიცხელებს და დახმარებას არავის აღმოუჩენს“, წერს გაზეოთ „საქართველო“[1] და წყენას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ როგორი დამნაშავეც უნდა ყოფილიყო მთავრობა ამ კონფლიქტში, სამწუხარო მაინც ის იყო, რომ უთანხმოების და განხევთქილების ნიადაგი კაგასიის ხალხთა შორის მაინც ყოფილა.

სისხლიან დღებში ბაქოს პოლიცია და ჯარის ნაწილები წამაქეზებლის ფუნქციას ასრულებდნენ, მშვიდად დადიოდნენ სისხლით მორწყულ ქუჩებში გამხეცებულ მმარცველთა და მკვლელთა შორის.

როგორც პრესის ფურცლები იუწყებოდნენ, კავკასიის მეფისნაცვალი ვორონცო-დაშკოვი კი, უკმაყოფილო აცხადებდა, რომ „არაპეთილსამედო პირები“ ხალხში ჭორს ავრცელებდნენ, ამ უწესრიგობაში მთავრობის უშუალო

მონაწილეობის შესახებო. ხელისუფლადთა ჩვეული თვალთმა-ქვბითაა აღსავსე მისი მიმართვა კავკასიის მცხოვრებლთა მიმართ, რომელიც გაზეთმა „ივერიაშ“ გამოაქვეყნა: „მივიღე რა განსაკუთრებული ზომები ზოგიერთი აღგიღების დასამშვი-დებლად, სადაც ბოლო დროს ბოროტმოქმედება გახსინდა, მსურს ვიწამო, რომ მცხოვრებელთა მიმართ ნათქვამი გულწრფელი სიტყვა, უფრო დამშვიდებს მათ, ვიდრე სასტიკი სამხედრო წესები, რომლის მოსპობის შესახებ ვიშუამდგომლებ მის უდიდებულესობის წინაშე“[2].

მეფის ხელისუფლება ბაქოს პროვოკაციით ვერ დაკაყოფილდა, დაიწყო მცდელობა ანალოგიური ღონისძიების თბილისში გასატარებლად. მაგრამ, მთავრობის ბოროტ-განმზრახველმა საქციელმა საქართველოს ტერიტორიაზე დიდ მასშტაბებს ვერ მიაღწია, რადგან მას წინ აღუდგა ქართველი მოწინავე საზოგადოება.

ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია გაზეთ „ცნობის ფურცელის“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ შექმნილი იყო სპეციალური „საერთო ბიურო“ რომელშიც სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, რომელთა მიზანი იყო წესრიგის დაცვა, მშვიდობის დამყა-რება[3]. ისინი სპეციალური შეიარაღებული რაზმებით იცავდნენ ქალაქს. მათ სპეციალური ე.წ. განსაკუთრებული ფონდიც კი დაუარსებიათ (ხაზინადარი ვ. რცხილაძე), კონფლიქტის დროს დაზარალებული მოსახლეობის დასახმა-რებლად. თუმცა, როგორც თვითონ გაზეთი იუწყებოდა, ეს ბიურო მალე დაშლილა და სხვადასხვა პარტიებს ცალ-ცალკე რაზმებით გაუგრძელებიათ მოქმედება.

მიუხედავად ამისა, აქვე უნდა ითქვას ქართველთა სასახლოდ, რომ სწორედ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების ერთ პოზიციაზე დგომის შედეგად, საერთო საშიშროების წინაშე, საქართველოში კონფლიქტის გაგრცელებას აღგილი არ ჰქონია.

ქართულ პრესაში არაერთი მასალაა იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში მოსახლეობაში მათ დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, ენდობოდნენ, სიტუაციის მოწესრიგებას სთხოვდნენ[4].

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პოზიცია, თბილისში მათ მიერ გავრცელებულ პროგლამაციაში მშვენი-ვრადაა დაფიქსირებული, რომელიც გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქმედია, მასში ნათქვამია: „ბნელ ძალთაგან ერთ ადგილას დაწყებული შეტაკება ნამდვილ ომად გადაიქცა

და ოქვენის დამათა სისხლით ირწყება ჩვენი მშვინიერი ქვეყნა... იმ დროს, როცა რუსეთის იმპერიის სხვა ხალხებმა შეაერთეს თავიანთი ძალები, ჩვენ კავკასიელები ვანგრევთ საერთო საქმეს. დროა შერიგდეთ და შეერთდეთ საერთო საქმისათვის, თავისუფალი, ძლიერი კავკასიის ფედერაციის შემნისათვის, იმ ფედერაციისა, რომელიც ერთნაირსა და სამართლიან მფარველობას გაუწეს ყველა ხალხის ინტერესებს... ჩვენ, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტები, გიშვევთ თქვენ ერთიანობისა და სოლიდარობისაკენ, ვიბრძოლოთ საერთო თავისუფლებისათვის [5].

ნიშვნელოვანია, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწის ს. ფირცხალავას გამოსვლა, ის გმობდა არსებულ წესწყობილებას, ამხელდა კონფლიქტის წამოწყების მიზეზს და მოუწოდებდა კავკასიის ყველა ერის წარმომადგენელს გაერთიანებისაკენ საერთო მტრის წინააღმდეგ: „პავკასიელებო, ბაქოში დანობეჭდი მმური სისხლი, ბაქოში უმანკოდ დახოცილი ბაქშვების სისხლი, მოგვიწოდებს მმობის, ერთობისა და კაგშირისაკენ“[6].

ვფიქრობთ, სასურველია აქვე მივუთოთოთ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აქტიური წევრის გ. ლასხიშვილის მოგონებების შესახებ[7], სადაც ავტორი გარკვეულ ადგილს უთმობდა სომეხთა და აზერბაიჯანელთა კონფლიქტს. თანმიმდევრულად წარმოაჩენდა საინტერესო მასალებს არსებული მოვლენების შესახებ. ამხელდა მეფის ხელისუფლებას კონფლიქტის გაჩაღებისათვის და აღნიშნავდა ქართველი საზოგადოების უდიდეს ღვაწლს სიტუაციის მოგვარების საქმეში.

ქართველი პრესის ფურცლებზე აღნიშნულ პერიოდში გახშირდა ისეთი წერილების რიცხვი, რომელშიც გამოითქმული იყო დიდ გულისწყრომა არსებული კოთარების გამო, რომ იმ დროს, როდესაც საჭირო იყო საძულველი მტრის – ბიუროკრატიული თვითმპურობელობის წინააღმდეგ ბრძოლა, ორი ეროვნების გარკვეული ნაწილი, მტრული გრძნობით გატაცებული, საშინელი თავდავიწყებით ერთმანეთს შესეოდა, ქლებდა და მუსრს ავლებდა ყველას, ვინც მისთვის საძულველ ეროვნებას ეკუთვნოდა და ამით მისდაუნებურად, ხელს უწყობდა კონტრრევოლუციას.

ადსანიშნავია სოციალ-დემოკრატთა პარტიის ორივე ფრაქციის აქტიური როლი აღნიშნული კონფლიქტის მოწერი-

გების საქმეში. ისინი კონფლიქტის დასაწყისშივე ყველა დონეს ხმარობდნენ, რათა აეცილებინათ შემდგომი გართვლებები. მართვლები მიტინგებს, ავრცელებდნენ პროკლამაციებს, აქტიურად გამოდიოდნენ პრესაში. ამხელდნენ ხელისუფლებას და იბრძოდნენ მისი დამხობისათვის. მოუწოდებდნენ მოქალაქეებს: „არ შეცდეთ თქვენ, ხომხებო, აზერბაიჯანელებო, ქართველებო, რუსებო, ხელი ჩაჲიდეთ ერთმანეთს, შეერთდით და ერთხმად შესძახეთ: ძირს მეფის მთავრობა! გაუმარჯოს ხალხთა შორის მმობას! ხელი ჩაჲიდეთ ერთმანეთს და მჭიდროდ შეერთდით ერთ პროლეტარულ რაზმში, რომელიც ძირს დასცემს მეფის მთავრობას! გაუმარჯოს ხალხთა მმობას! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას“[8].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მდგომარეობის ლიკვიდირებისათვის ყველა პარტია აქტიურად იბრძოდა, რათა დამცხრალიყო ეროვნული შოვინიზმით გაუდენთილი ხალხი. ქართველები გულწრფელად ურჩევდნენ ორივე მეზობელ ერს, ნუ აკუთღოდნენ დვარძლსა და ხინჯს. „კმარა სისხლი! კმარა ეგოდენ ცრემლი, ჯერ ისევ შეუშრობელი თვალთაგან“[9] – ასეთი იყო მათი მოუწოდება.

ქართველ პრესაში წარმოდგენილია მასალა, რომელიც გვაუწყებს საქართველოში დაძაბული სიტუაციების ხელოვნურად შექმნის შესახებ. ასეთი იყო „ზინგერის“ მოსამსახურეთა გაფიცვის დროს ქუთაისში, გამგეობის მცდელობა, ჩამოვალი ეროვნული შედლი (ქართველთა გულის მოსაგებად სამსახურიდან სხვა ეროვნების მუშის დათხოვა). ამის შესახებ ინფორმაციას გაზეთი „ახალი ქვეყანა“ გაფიცელთა სიტყვებით ასე ამთავრებდა: „ჩვენ მუშები ასე ვერ ვიმსჯელებთ, პირიქით კიდეც ვებრძვით ასეთ საზიზღობას“[10].

მსგავსი სიტუაცია იყო ბათუმელ მკერავთა ცხოვრებაშიც, როდესაც „სხვათა“ მითითებით ზოგიერთი ეროვნების მუშები ეროვნული პროფესიონალური კავშირების მოითხოვნით გამოვიდნენ, მაგრამ დარწმუნდნენ რა მის უგარგისობაში, მაშინვე შეურთდნენ საერთო პროფესიონალურ კავშირს ერთად მოქმედებისათვის.

სამხრეთ კავკასიაში მეფის მთავრობის სამარცხვინო პოლიტიკაში ფართო გამოხმაურება პპოვა საქართველოს მთვლ მოსახლეობაში, რაც ფართოდა ასახული ქართულ პრესაში.

ადსანიშნავია, ქუთაისებ მასწავლებელთა საპროგებო წერილი მომხდარის გამო, სადაც დაგმობილია, როგორც

რუსეთის ცარიზმის მოქმედება, ისე ორი მეზობელი ხალხის ურთიერთბრძოლაც, რაც მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. მათი გამოხმაურება ასეთი მოწოდებით მთავრდება: „შეწყვიტეთ სისხლისდვრა. შეუერთდით თავისუფლებისათვის შეჯგუფულ მეომართა რაზმს და მით გამოისყიდეთ თქვენი საშინელი დანაშაული“[1].

ქართველი საზოგადოების აქტიური ჩარევა კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ასახულია ქართველი ქალების საპროტესტო გამოსვლაშიც. თბილისის ვაჟთა და ქალთა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა ადრესშიც, რომელიც წარუდგინეს ქალაქის მერს და უღრმესი მწუხარება გამოაცხადეს ბაქოში მომხდარი უბედურების გამო.

საქართველოში საზოგადოების სხვადასხვა გაერთიანებებიდან ბაქოში დაზარალებულთ თანაუგრძნელნენ და ფულად დახმარებასაც უგზავნიდნენ.

სამხრეთ კავკასიაში მეფის მთავრობის სამარცხვინო პოლიტიკაში საერთოდ ფართო გამოხმაურება პპოვა ინტელიგენციაში. მეფის ხელისუფლების მხილებითაა აღსავსე მ. გორგის არაერთი გამოსვლა, „კავკასიის ამბების გამო“, „გრიგალის სიმღერა“[12] და სხვა, სადაც ავტორი ხალხს გაერთიანებული ძალით თვითმკურობელობის დამხობისაკენ მოუწოდებდა.

ამ შემაძრწუნებელ სისხლისდვრას დაუყონებლივ გამოხმაურა აკაკი წერეთელი. ამ ფაქტით დამწუხრებული პოეტი მიმართავდა ორივე მხარეს ხელი აედო ურთიერთ მტრობაზე და ერთიანი ძალით მეფის თვითმკურობელობის წინააღმდეგ გაელაშქრათ.

საყურადღებოა აგრეთვე მ. ჯავახიშვილის გამოსვლაც ამ კონფლიქტის შესახებ. ის, ამაორახებდა რა ვერაგ ცარიზმს, მოუწოდებდა სამხრეთკავკასიის ხალხებს საერთო ძალით ებრძოლათ რევოლუციის სასარგებლოო[14].

იმ პერიოდის პრესიდან სხვა მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, სადაც ქართველი საზოგადოების სხვადასხვა ფენების მშვიდობიანი და აქტიური პოზიციაა დაფიქსირებული მიმდინარე კონფლიქტის მიმართ.

ნუგეშისა და თანაგრძნობის სიტყვებმა, რომელიც მძლავრად გაისმოდა (თითქმის ყველა ორგანოში) ამ უბედურების დროს სამხრეთ კავკასიის ყველა გუთხიდან, კიდევ ერთხელ დანახვა ყველას, რომ ისინი საერთო ინტერესებით იყვნენ შეგავშირებულნი, რადგან პროგრესულ-

დემოკრატიულ ნაწილს მუდამ სჯეროდა, როგორც შემდეგ განეთი „საქართველო“ წერდა, რომ „კავკასიის ყველა ერების სოლიდარობაში არის ბედნიერი მომავალი ჩევნი ქვეყნისა, ამაშია წამალი ჩევნი აყვავებისა, აღორძინებისა“[15].

ამრიგად, პრესის ფურცლებზე მხილებულია პროვოცირებული კონფლიქტი, რომელიც განმათავისუფლებელი ბრძოლის გასათიშად იყო გამიზნული. ამასთან, ქართულ დემოკრატიულ პრესაში გაბნეულია უამრავი დოკუმენტური მასალა, რომელიც გადმოგვცემს ცნობებს ქართველთა ფართოდ ჩართულობის შესახებ აღნიშნულ პოლიტიკურ პროცესში. იმის შესახებ, რომ ქართველი საზოგადოების ყველა ფენა და პოლიტიკური პარტია გულისტკივილით და შეშფოთებით შეხვდა სომებთა და აზერბაიჯანელთა სისხლისღვრას, ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონფლიქტის მოგვარების საქმეში, ცდილობდნენ მოპირდაპირე მხარეთა შერიგებას. ყოველი ღონი იხმარეს საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტის აღსაკვეთად.

ლიტერატურა

References:

1. gaz. “saqrTvelo”, 1905w., #23.
2. gaz. “iveria”, 1905w., #122.
3. gaz. “cnobis furceli”, 1905w. 25. 11.
4. gaz. “cnobis furceli”, 1905w. 01. 11.
5. gaz. “cnobis furceli”, 1905w. 25. 11.
6. gaz. “cnobis furceli”, 1905w. 13. 11.
7. g. lasxiSvili, memuarebi, 1934w.
8. rsdmp kavkasiis kavSiris proklamaciebi (1903-1905ww) 1955w. gv. 327.
9. Jur. “niSaduri”, 1907w. #1.
10. gaz. “axali qveyana”, 1907w. #10.
11. gaz. “cnobis furceli”, 1905w.15. 12.
12. Jur. “mogzauri”, 1905w. #2.
13. gaz. “iveria”, 1905w. #214.
14. გამ. “ივერია”, 1905წ. 03. 03.
15. gaz. “saqrTvelo”, 1909w. #8.

Manana Darchiashvili, Giorgi Chkhikvishvili
The role of Georgian press in political conflict

Summary

According to the political situation existing in 1905-1907, autocratic government of Russia tried to generate national discord in Transcaucasia and to outbreak hostilities between Georgia, Armenia and Azerbaijan, thus to move them away from revolution.

In 1905 in Baku, the government provoked the bloody massacre of Armenians and Tatars, which lasted the whole year with intervals.

Georgian Press of that period tried to depict the dirty aim of Russian government to the society. It highlighted the conflict, played a major role in influencing recovering ideas.

The royalty was not satisfied by the massacre provoked in Baku. It started the attempt of performing the analogical motion in Tbilisi. The will of the evil government failed to be expanded on a large scale, as it was opposed with the progressive society of Georgia.

There are documentary sources in Georgian democratic press describing all the facts that the various strata of society and political parties led the massacre of Armenians and Tatars close to heart with profound grief and worry. They disclosed the provocative conflict aiming to quell the national liberation movement. They tried their best to prevent the conflict from flourishing on the territory of Georgia and to achieve peace.

Keywords: Georgia, Armeia, Azerbaijan, Baku, Russia, Press, Conflict, The role of.

Reviewer: Professor Ketevan Jijeishvili, Georgian Technical University

**Манана Дарчашвили, Георгий Чхиквишили
Роль грузинской прессы в политическом конфликте**

Резюме

В 1905-1907 гг. российское самодержавное правительство попыталось разжечь национальную рознь в Закавказье. Оно попыталось натравить друг на друга грузин, армян и азербайджанцев. 6-9 февраля 1905 года в Баку царское правительство спровоцировало армяно-татарскую резню, которая продолжалась в течение года с некоторыми интервалами.

Появилась опасность распространения конфликта на территории Грузии. В грузинской демократической прессе можно найти большое количество материала, их которого видно, с какой тревогой и болью восприняли все слои грузинского общества и политические партии армяно-татарскую резню, как разоблачали заказчика спровоцированного конфликта и активно включились в дело примирения противоборствующих сторон.

Ключевые слова: Грузия, Армения, Азербайджан, Баку, Тбилиси, Россия, Пресса, Конфликт, Роль.

Рецензент: Профессор Кетеван Джиджеишвили. Грузинский технический университет.

მორაპ ცოდნა

პოსტსაბჭოთა პერიოდის რუსთის საბარეო პოლიტიკა

რუსეთი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, შეიქმნა ყოფილი სსრკის დაშლის შემდეგ. ძლევამოსილი სსრკ, მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოდან ერთერთი, მეოცე საუკუნის 90-აიანი წლების დასაწყისში, კერძოდ კი 1991 წელს, კონომიკური კრიზისის შედეგად, “ჩამორშალა”. სსრკის დაშლაში, უდავოდ მნიშვნელოვანია როგორც აშშ-ის როლი, ისე მაშინდელი რუსეთის პრეზიდენტის ბ. ელცინის როლი. სწორედ რუსეთის, უკრაინის და ბელორუსის პრეზიდენტების მიერ გამართულ შეხვედრაზე 1991 წელს, ოფიციალურად გაფორმდა სსრკ-ს დაშლა. დაიწყო ახალი ერა ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების, მათ შორის რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სსრკ-ს პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა მის მიერ დაწყებული და ნაწილობრივ გატარებული რეფორმების ეწ. „პერესტროიკის“ ფონზე რუსეთის პრეზიდენტს დაუტოვა “ახალი საგარეო პოლიტიკა”, რომლის მიზანი იყო არ დაეშვა ქვეყნის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური ჩამორჩენა დასავლეთთან და “ზესახელმწიფოს” სტატუსიდან ქვეყანა გადაევევანა “დიდი სახელმწიფოს” სტატუსზე. ეს საჭიროებდა კარდინალური საშინაო რეფორმების გატარებას და საგარეო პოლიტიკის სამხედრო ინსტრუმენტებიდან არასამხედრო ინსტრუმენტებზე.

ელცინმა განაგრძო გორბაჩოვის პოლიტიკა, საერთაშორისო თანამშრომლობა და დაახლოება დასავლეთთან, მაგრამ მან ვერ შეძლო საგარეო პოლიტიკის გამოყენება საშინაო რეფორმებისათვის. ამით მყისვე ისარგებლეს ძალოვანმა სტრუქტურებმა (სუკი, სამხედრო-სამრეწველო) და დაიწყეს ძალაუფლების ოავიანო ხელში კონცენტრირება. 1990-იანი წლების პირველ ნახევარში ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ყველა შეიარაღებული კონფლიქტი “რუსეთის სამხედრო მანქანის” ხელშეწყობით წარმოიშვა ელცინის მთავრობის პასიურობის ფონზე.

თავის მხრივ, სუკი დაიწყო თავისი ღირებულებების-ავტორიტარიზმის და ქსენოფობიის დანერგვა. ამას დაემატა რუსეთის რეგიონებისა და რესპუბლიკების ადგილობრივი მმართველების ვოლუნტარიზმი. ასეთ პირობებში “მტკიცე

ხელის” არ არსებობამ და ელცინის გაუტედავმა ზრახვაშ შექმნა კანონიერებაზე და თავისუფლებაზე დაფუძნებული დემორატიული სისტემა, სრული კრახი განიცადა. უფრო მეტიც, უკვე 1993 წლიდან ელცინი, მუდმივი კრიტიკის გამო, იძულებული გახდა დაბრუნებოდა რუსეთის, როგორც დსთ-ის ლიდერის და აშშ-თან თანასწორუფლებიანობის პოლიტიკას.

1996 წლისთვის უკვე ნათელი გახდა, რომ რუსეთის ამბიციებსა და მის შესაძლებლებებს შორის დიდი ზღვარი იყო. რუსეთმა არა თუ აშშ-თან გატოლება, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც კი ვერ შეძლო პოლიტიკური და ეკონომიკური ლიდერის და უსაფრთხოების გარანტიორის როლი შეესრულებინა. საჭირო გახდა “ფასეულობათა გადაფასება” საგარეო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკის ახალი დოქტრინა შეიმუშავა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პრიმაკოვმა. მან “მეორე სიცოცხლე” შთაბერა ყირიმის ომში დამარცხებულ რუსეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გორჩაკოვისულ “კონცენტრირების პოლიტიკას”, რომლის არსიც ასეთი იყო: დამარცხებული რუსეთი არ ბრაზდება, იგი კონცენტრირებას ახდენს ანუ უნდა მომხდარიყო საგარეო პოლიტიკის რეორიენტაცია, რუსეთს უნდა შეექმნა ხელსაყრელი საგარეო პირობები შიდა რეფორმისთვის, ქვეყანის ეკონომიკური განვითარებისთვის და აღედგინა საკუთარი სიძლიერე, რომ დაებრუნებინა “დიდი სახელმწიფოს” სტატუსი.

ე. პრიმაკოვმა ვერ შეძლო ახალი დოქტრინის პრაქტიკული განხორციელება. 1998 წლს ეკონომიკური ვითარება რუსეთში მკვეთრად გაუარესდა - ელცინი იძულებული გახდა ერთ წელზე ნაკლებ დროში შეეცვალა ოთხი პრემიერ-მინისტრი, მაგრამ კრიზისი იმდენად ღრმა იყო, რომ იძულებული გახდა დაეთმო ხელისუფლება და გადაცვა იგი მისი ოჯახის სიმდიდრისა და უსაფრთხოებისათვის შევლაზე იდეალური კანდიდატის, პოლიტიკაში კი ყველასთვის უცნობი პიროვნების - კლასიკურ პუტინისთვის.

პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა 1999 წლის 31 დეკემბერს, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, ელცინის საკუთარი სურვილით გადადგომის შემდეგ. მანამდე, 1999 წლის 8 აგვისტოს ელცინმა პოლიტიკაში სრულიად უცნობი პუტინი დანიშნა პრემიერ-მინისტრად. თავდაპირველად, მან საკუთარი თავის წარმოსაჩენად და პოზიციების გასამყარებლად განაახლა და წარმატებით დაასრულა ომი

ჩეჩნეთში, რამაც იგი სულ რაღაც 4 თვეში ეროვნულ გმირად აქცია. ამან კი უზრუნველყო 2000 წლის 7 მაისის საპრეზიდენტო არჩევნები მისი წარმატება.

პუტინმა „ჩაიბარა“ დაშლის პირას მყოფი რუსეთი - რეგიონები მიისწავლიდნენ პოლიტიკური დამოუკიდებლობისაკენ და დებულობდნენ კანონებს, რომლებიც ეწინააღმდევებოდა კონსტიტუციას და ფედერალურ კანონებს. გარდა პოლიტიკურისა, ქვეყანაში იყო უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისიც. საჭირო იყო სწრაფი გარდაქმნები. პუტინმა დაიწყო “კონცენტრირების” პოლიტიკის პრატიკული განხორციელება, ერთიანი სამართლებრივი სივრცის შექმნით ალაგმა რეგიონების თავგასულობა, შექმნა “სახელმწიფო ვერტიკალი”, რომლის სათავეშიც თვითონ მოექცა, ელცინისეულ ოლიგარქები (ბ. ბერეზოვსკი, ვ. გუსინსკი) აიძულა უცხოეთში გაქცეულიყვნენ, ხოლო მათი ოპოზიციურად განწყობილი მედია - ბიზნესის სტრუქტურის (უმსხვილესი გაზეთები და ტელეკომპანიები) აქციები კი შეიძინეს მის მიერ კონტროლირებადმა ბიზნეს-სტრუქტურებმა.

ელცინისგან განსხვავებით, პუტინმა ერთპიროვნულად დაიწყო ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტროს დაავალა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მხოლოდ შესრულება. თავის საგარეო პოლიტიკას პუტინმა საფუძვლად დაუდო შემდგები საშინაო ფაქტორები: მართვადი დემოკრატია, კლანური მმართველობა და რუსული საზოგადოების იდეოლოგია. მისი იდიალი იყო ავტორიტარული კორპორატიული სახელმწიფოს მშენებლობა. მიზომ მან შექმნა ძლიერი საპრეზიდენტო სისტემა სუსტი სახელმწიფო ინსტიტუციებით, მათ შორის საკანონმდებლო და სასამართლო. ძლიერმა აღმასრულებელმა შტომ მკაცრი კონტროლი დაამყარა პოლიტიკური აზრის გამოხატვის თავისუფლებაზე როგორც მასმედიის, ისე ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან. პუტინმა მართვადი დემოკრატიის მეშვეობით ფაქტიურად მოსპონ ქვეყანაში დემორატიული რეეიმის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. შეიქმნა ბუნდოვანი საარჩევნო წესების, მაგრამ წინასწარ განსაზღვრული შედეგის მქონე საარჩევნო სისტემა.

მართალია, გარეანულად პუტინმა მოირგო რუსეთის ერთპიროვნული მმართველის იმიჯი, მაგრამ რეალობაში ქვეყანას მართავდა მისი ელიტარულ-კლანური დაჯგუფებები,

რომელიც ძირითადად შედგებოდა სუპ-ის ვეტერანებისაგან და პეტერბურგელებისაგან. ისინი ერთად მართავდნენ რუსეთს და აკონტროლებდნენ ქვეყნის ეკონომიკის ძირითად სეგმენტებს. სწორედ ამიტომ ექსპერტებმა ამ დაჯგუფებას “კოლექტიური პუტინი” უწოდეს.

თავისი პრეზიდენტობის დასაწყისში მან მიიღო ეროვნული უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის კონცეფციები. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ რუსეთი მიესალმება მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირებას, რომ მიუხედავად საერთაშორისო ვითარებისა და შინაგანი სირთულეებისა, რუსეთი თავისი ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო პოტენციალის და ეკრაზის კონტინენტზე უნიკალური სტრატეგიული მდებარეობის გამო, კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსოფლიო პროცესებში და ყოველგვარი მცდელობა უგულებელყონ რუსეთის ინტერესები საერთაშორისო საკითხების მოგვარებისას, შეიძლება საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის საზიანო გამოდგეს.

კონცეფციაში გამოყოფილია რუსეთის შემდგენ საგარეო საფრთხეები: მცდელობა შეასუსტონ მსოფლიოში რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო გავლენა; ნატოს გაფართოება რუსეთის საზღვრების სიახლოვეს, პრეტენზიები რუსეთის ფედერაციის ტერიტორიებზე, საერთაშორისო ტერორიზმი.

2000 წლის დეკემბერში რუსეთის ხელისუფლებამ დაამტკიცა საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, რომლის თანახმად ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ეფუძნება “გეოპოლიტიკურ” ხედას ანუ რუსეთის როლი მსოფლიო პოლიტიკაში განისაზღვრება მისი, როგორც უდიდესი ევრაზიული სახელმწიფოს, გეოსტრატეგიული მდებარეობით.[1]

პუტინმა ენერგორესურსების სფეროს რენაციონალიზაციით მოიპოვა სრული გავლენა ნავთობის და გაზის ექსპორტზე და ენერგორესურსებზე გაზრდილი ფასებისგან მიღებული შემოსავლები წარმართა ქვეყნის საგარეო ვალის შემცირებისა და სამხედრო მოდერნიზებისაკენ. საშინაო ეკონომიკურ ექსპანსიას და ბრძოლას სტაბილურობისათვის სახლში თან ახლდა რუსეთისთვის უჩვეულოდ პასიური საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით აშშ-თან დაპირისპირებაში - რუსეთი აშშ-ის ქმედებებს ნაკლები პროტესტითა და მუქარით პასუხობდა, ვიდრე ეს იყო ელცინი-კლინტონის დროს. სწორედ ეს იყო

“კონცენტრირების” პოლიტიკა, რუსეთი ძალებს იქრებდა ქვეყნის შიგნით სტაბილურობის დამყარებით, ამიტომ რუსეთმა “თვალი დახუჭა” ხატო-ს გაფართოებასა და აშშ-ის გამოსვლაზე ბალისტიკური რაკეტების შეზღუდვის ხელშეკრულებიდან.

რაც შეეხება ურთიერთობებს ევროპასთან, 2000-2003 წლებში პუტინის ევროპულ საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო ეკონომიკური პოლიტიკა - რუსეთი ცდილობდა ევროპასთან თავისი მუდმივად მზარდი სავაჭრო ურთიერთობები გამოიყენებინა აშშ-ზე გავლენის მოსახვნად. პუტინი, ისევე როგორც რუსული ბიზნესის ლიდერები, მიიჩნევდა, რომ რუსეთი მომავალი ევროპაში ენერგო-რესურსების ექსპორტში და დასავლური ინვესტიციების მოზიდვაში დევს, ამიტომ იგი ცდილობდა ორმხრივი ურთიერთობების გაფართოებას ევროპის წამყვან სახელმწიფოებთან და არ ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირის გაფართოებას.

აზიაში კრემლის უმთავრესი ინტერესის საგანი ჩინეთი იყო. რუსეთისა და ჩინეთის სტრატეგიული ურთიერთობების განვითარება დაიწყო 1996 წლიდან, რომელიც 2001 წელს „კარგი მეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების“ გაფორმებით დასრულდა. ჩინეთი იქცა რუსულის იარაღის მთავარ იმპორტიორად, ხოლო რუსეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტი აზიის რეგიონში გახდა ჩინეთის, ინდოეთის და ირანის იარაღის ბაზრებზე ადგილის დამკაიდრება.

რუსეთის საგარეო პოლიტიკა მკვეთრი გარდატეხის აუცილებლობის წინაშე დადგა 2003-2006 წლებში. ერაყის კრიზისმა, “ფერადმა რევოლუციებმა” საქართველოსა და უკრაინაში დღის წესრიგში დააყენა საგარეო პოლიტიკაში რუსეთის გაძტიურების და შესაბამისად, ახალი პოლიტორიის შემუშავების საკითხი. ასეთი გახდა რუსული ელექტროენერგიის მონოპოლიისტის, “რაო ეეს” -ის ხელმძღვანელის ანატოლი ჩუბაისის მიერ 2003 წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული „ლიბერალური იმპერიის“ თეორია, რომლის თანახმად, 1991 წელს არსებობა შეწყვიტა მსოფლიოს ყველა დროის უდიდესმა იმპერია. რუსეთმა უნდა ააშენოს ახალი “ლიბერალური იმპერია” ყოფილი სსრკ-გან, რისთვისაც მან უნდა განახორციელოს პოსტსაბჭოთა სიგრცეში ეკონომიკური ექსპანსია, უზრუნველყოს მათი

დამოუკიდებლობა და დემოკრატია, იქ მცხოვრები რუსულ-ენოვანი მოსახლეობის უსაფრთხოება და დაიკავოს მისი ბუნებრივი აღგილი აშშ-ის, ეკროკავშირის და იაპონიის დიდი დემოკრატიული ქვეყნების გვერდით. [2]

რუსეთმა დაიწყო აღნიშვნული პოლიტიკის განხორციელება. ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი იარაღი გახდა ენერგორესურსები, კერძოდ კი, სახელმწიფოს მფარველობაში მყოფი “გაზპრომმი”. ამავე წელს დამტკიცებული იქნა რუსეთის ენერგეტიკის სტრატეგია, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველი გახდა. “გაზპრომმა” დაიწყო გლობალური ექსპანსია - მილსადენების ქსელის გაფართოება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ეკროპის ენერგეტიკული ბაზრის ექსპანსია და ახლო და შორეული აღმოსავლეთის, სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ბაზრებზე შესვლის მცდელობა. დღეისათვის რუსეთი უზრუნველყოფს ეკროპის 25%-ზე მეტის გაზით მომარაგებას. ამასთან, მისი მიზანია არა მარტო მომარაგება, არამედ გაზის საბოლოო მომხმარებლამდე მიზანი. გარდა ამისა, იგი აქტიურად იძენს ეკროპის სტრატეგიულ აქტივებს და დღეისათვის მას უკვე გააჩნია ასეთი აქტივები ეკროკავშირის 27 ქვეყნიდან 17-ში. ეკროპა შეშფოთდა რუსულ გაზე ასეთი დამტკიდებულების გამო და დაიწყო მცდელობა გაზის წყაროების დივერსიფიკაციისათვის, მათ შორისაა ნაბუკოს მილსადენი, წელიწადში 36 მლრდ.მ3 აირის გამტარობით, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე უნდა გასულიყო. ამის საპასუხოდ რუსეთმა დაიწყო აქტიური ქმედებები და აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ეკროპის ქვეყნების უმეტესობის წინაღმდეგობის მიუხედავად, ააშნა 51%-ით „გაზპრომის“ მფლობელობაში მყოფი დიდი მილსადენი - “ჩრდილოეთის ნაკადი” (ექსპლუატაციაში შევიდა 2011 წლის ბოლოს) 27,5 მ3 წლიური გამტარობით და 2012 წლის ბოლოს დაიწყებს მეორე დიდი გაზისადენის - “სამხრეთის ნაკადის”. მშენებლობას, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2015 წლის ბოლოს. ამით რუსეთმა ორმაგი ხეირი ნახა: უზრუნველყო ეკროპაში გაზის მიწოდების როგორც გაზრდა, ისე უსაფრთხოება პოლიტიკურად არასტაბილურ ქვეყნებზე (უკრაინა და ბელორუსია) გამავალი ძველი მილსადენის ფუნქციის შემცირებით და იმავდროულად არაეფუქტიანი გახადა ეკროკავშირის მიერ ლობირებული “ნაბუკოს” პროექტი. ეს იყო 2003-2006 წლების რუსული საგარეო პოლიტიკის ყველაზე დიდი წარმატება.

ანალოგიური მიდგომა გამოიყენა რუსეთმა პოსტსაბჭოთა ქვეწებშიც. მან საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკის როლი გაძლიერდა. შეიქმნა რუსეთის უდიდესი ენერგო კომპანიების: “გაზპრომის”, “ლუკოილის”, „როსნეფტის”, “რაო ეეს”-ის, და სხვების აღიანსი, რომლებმაც დაიწყეს ენერგეტიკის სექტორის გაკონტროლება რუსეთის მეზობლების უმტკესობაში.

2003-2006 წლების რუსეთის საგარეო პოლიტიკის უკელაზე დიდი წარუმატებლობა გამოდგა “ვარდების რევოლუციის” შედეგად საქართველოში პროდასავლური ხელისუფლების მოსვლა. რუსეთი იძულებული გახდა შეეცვალა მოქმედების ტაქტიკა - გაიყვანა სამხედრო ბაზები საქართველოდან და ამოქმედა “ლიბერალური იმპერიის” პოლიტიკა. შედეგად ევროპულ გზაზე შემდგარი საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიული აქტივები რუსეთის ხელში აღმოჩნდა. კერძოდ 2003 წელს “გაზპრომა” 25-წლიანი ჩარჩო-ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ხელისუფლებასთან გზაზის მიწოდებაზე, მილსადენების ქსელის რეაბილიტაციასა და სამხერეთში გაზის ტრანზიტზე, იმავე წელს „რაო ეეს”-მა შეიძინა თბილისის ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ენერგოკომანია „ეი-ეს-თელასი” და რამდენიმე პიდრო-ელექტროსადგური და სხვა.

ამრიგად, 2003-2006 წლები იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის წარმატების პერიოდი - რუსეთის გავლენა პოსტსაბჭოთა და ევროპული სივრცის ქვეწებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. რუსეთს უკვე შეეძლო გადასულიყო აქტიურ და დია კონფრონტაციაზე დასავლეთთან.

ახალი პოლიტიკური კონცეფციის შემუშავება დააჩქარა ახალმა პოლიტიკურმა რეალობებმა: კიოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ, ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების მცდელობამ, ჩეხეთსა და პოლონეთში აშშ-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებამ. ამის საპასუხოდ კრემლის მთავარმა იდეოლოგმა და “რუსმა კარდინალმა”, ვლადისლავ სურკოვმა შეიმუშავა ახალი პოლიტიკური კონცეფცია: „სუვერენული დემოკრატია”, რომლის მირითადი არსი შემდეგშია: რუსეთი სუვერენული სახელმწიფოა ანუ ფორმალურად და ფაქტობრივად დამოუკიდებელია აშშ-სა და ევროკავშირისგან, ხოლო დემოკრატია ნიშნავს დასავლეთთან რუსეთის ხარისხობრივ თანასწორობას, რომელიც დამყარებულია არა იმდენად ინსტიტუტებს, რამდენადაც ხალხის ნდობას ხელისუფლებისადმი. დღეისათვის მსოფლი

იოში რუსეთის გარდა მხოლოდ ერთი “სუვერენული დემოკრატიაა” - აშშ, სხვები კი ან არასაკმარისად სუვერენულები არიან ან არასაკმარისად დემოკრატიულები. [3]

კიდევ უფრო მკვეთრი იყო პუტინის გამოსვლა 2007 წლის 10 თებერვალს მიუჩატინის უსაფრთხოების კონფერენციაზე, რომელიც ბევრმა ახალი “ცვი ომის” დასაწყისად მიიჩნია. პუტინმა მწვავედ გააკრიტიკა აშშ საერთაშორისო არენაზე ცალმხრივი მოქმედებისათვის, ერთოლდუსიანი მსოფლიოს შექმნის მცდელობისა და ამით მსოფლიოში უსაფრთხოების შესუსტებისათვის, რუსეთს კი გააჩნია საერთაშორისო საკოთხების გადაწყვეტისას მისი იგნორირებისათვის ადექტატური პასუხის გაცემის შესაძლებლობა. ამით პუტინმა დაასრულა ის ცვლილება, რაც 3-4 წლით ადრე დაიწყო და რომლის მიზანს წარმოადგენდა საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის დამოუკიდებელ მოთამაშედ დაბრუნება. „რუსეთის დაბრუნება“ განაპირობა პუტინის გონივრულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ - თითქმის ბოლომდე იქნა გადახდილი საგარეო ვალი (ამით რუსეთის კრედიტორებს ხელიდან გამოეცალათ მასზე ზემოქმედების რაიმე ბერკეტი), მკეთრად გაიზარდა ქვეყნის ოქრო-საგადუტო რეზერვები, სულ რაღაც 7 წელიწადში (2000-2007 წ.წ.) 6-ჯერ გაიზარდა ერთიანი შიდა პროდუქტი და შეადგინა 1,25 ტრ. დოლარი 200 მლნ. დოლარის ხაცვლად (!). ამრიგად, პუტინმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში შეძლო შეუძლებელი: რუსეთის პასიური საგარეო პოლიტიკა გარდაქმნა აქტიურ საგარეო პოლიტიკად (თავისი ინტერესების უზრუნველსაყოფად ცალმხრივი ქმედებების განხორციელება). შედეგად, 2007 წლიდან, პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში, რუსულმა სტრატეგიულმა ბომბდამშენებებმა დაიწყეს პატრულიორება მსოფლიო ოკეანების თავზე, ხოლო რუსულმა ხომალდებმა განაახლეს პატრულიორება ხმელთაშუა ზღვასა და ჩრდილოეთ-ყინულოვან ოკეანებში. ამით რუსეთმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ აშშ-ის გარდა, მსოფლიოში არსებობს სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია გლობალურ დონეზე საკუთარი ინტერესების დაცვა. “რუსეთი დაბრუნდა”!

2008 წლის 7 მაისს ვლადიმერ პუტინს გაუგიდა პრეზიდენტობის ორი ვადა. კონსტიტუციის თანახმად, ერთ პირს არ შეუძლია ზედიზედ სამჯერ გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი. მხოლოდ ერთი საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ შეუძლია მას კიდევ ორჯერ ზედიზედ გახდეს ქვეყნის პრეზიდენტი. პუტინს არ გაძნელებია მისი ერთი ვადით

შემცვლელის პოვნა: ეს იყო მისი მარჯვენა ხელი, ქვეყნის პირველი ვიცე-პრემიერი (2005 წლიდან) დიმიტრი მეღვედევი. პუტინმა სწორედ იგი შესთავაზა მის შემცვლელად რუს ხალხს. შეთავაზება მიღებულ იქნა- 2008 წლის 7 მაისის არჩევნებში გამარჯვებული მედვედევი რუსეთის ახალი პრეზიდენტი გახდა. თავის მხრივ, მედვედევმა პრემიერ-მინისტრად წარადგინა პუტინი. ერთპარტიულმა პარლამენტმა პუტინი პრემიერ-მინისტრად დაამტკიცა. ამრიგად “როლები გაიცვალა”. რეალურად კი, რუსეთის პრეზიდენტი ისევ პუტინი იყო. შედეგად, მედვედევის საგარეო პოლიტიკა - ეს სინამდვილეში პუტინის საგარეო პოლიტიკა იყო, მისი “უკერძული დემოკრატიის” პოლიტიკის გაგრძელება. პუტინმა ისევ ერთპიროვნულად განაგრძო ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მართვა, ხოლო ახალ პრეზიდენტს დაუტოვა მხოლოდ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განვითარებაზე ზრუნვა.

პოსტსაბჭოთა სიკრცეში რუსეთის ყველაზე დიდი „თავის ტკივილი“ საქართველო იყო - მისი პროდასავლური ხელი-სუფლება ჯიუტად ისწრაფეოდა ნატოსკენ. რუსეთი ცდილობდა სამაგალითოდ დაესაჯა საქართველო, რათა როგორც მას, ისე რუსეთის სხვა მეზობლებსაც, სამუდამოდ დაევიწყებინათ ნატო. მაგრამ აშშ-ს მხრიდან საქართველოს მფარველობის გამო, რუსეთი „გულში ინახავდა“ წერნას. იგი ეძებდა საბაბს. საბაბიც მაღვ დადგა. 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის პროგრაციას აყოლილმა საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანება გასცა დაეპომბათ ცხინვალი. ოლიმპიურ თამაშებზე მყოფმა პუტინმა მიატოვა ლონდონი, სასწრაფოდ ჩაფრინდა ვლადიკაზეში და სათავეში ჩაუდგა რუსულ არმიას. რუსეთის არმიის დანაყოფებმა გადალახეს რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და დაიწყეს მსელებლიბ თბილისისეუნი. იმავდროულად, რუსეთის არმიის დანაყოფები შეიტრნენ აფხაზეთის სვანეთში და 3 დღეში დაიპყრეს აფხაზეთის სვანეთი და ცხინვალის რეგიონი. მხოლოდ აშშ-ის მხრიდან მკვეთრმა პროტესტმა შეაჩერა რუსეთის არმია. აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთმა თავისი სამხედრო ბაზები შექმნა. ეს იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის მორიგი წარმატება. რუსეთმა მოედ მსოფლიოს დაანახა, რომ იგი მსოფლიო პოლიტიკაში დამოუკიდებელი მოთამაშეა. ამის შემდგომ პერიოდში მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში მედვედევმა აღიარა, რომ ამ ომს საფუძვლად ედო

არა აფხაზების ან ოსების დაცვა, არამედ ნატოს გაფართოების მცდელობის აღკვეთა რუსეთის საზღვრების სიახლოვეს. ექსპერტები იძასასაც აღხიშნავდნენ, რომ მსოფლიო ფაქტიურად გადაურჩა მესამე მსოფლიო ომს.

მედვედევის რუსეთმა ვერ შეძლო ეპრაზიაში რუსო-ცენტრული სივრცის შექმნა ჩინეთისა და ევროკავშირის მხრიდან დიდი კონკურენციის გამო. თვით დსთ-ის სივრცეში, მან ვერ შეძლო ლიდერად დამკიდრება-ვერ მოაგვარა ვერც ერთი კონფლიქტი, ხელი ტემპით მიმდინარეობს ინტეგრაცია ეკონომიკის სფეროში, სულ უფრო მცირდება რუსული ენის გამოყენება ამ სივრცეში და ა.შ. რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახდა საერთაშორისო ასპარეზზე მისი მოკავშირების თანდა-თანობით შემცირება (რუსეთის მცდელობა დაახლოებოდა დასავლეთს საკუთარ პირობებზე - წარუმატებელი აღმოჩნდა, ხოლო აშშ-ისა და ევროკავშირის პირობებზე კი -მიუღებელი), დასავლეთის მხრიდან მუდმივი კრიტიკის საგანია რუსეთში ადამიანის უფლებების უგულებელყოფა და სხვა.

ადამიანის უფლებების უგულებელყოფის პასუხად რუსეთმა შექმნა თავისუფლებისა და დემოკრატიის ინსტიტუტი განცოფილებებით ნიუ-იორკსა და პარიზში და თავად დაუწეულ დასავლეთის ქვეყნებს კრიტიკა ფუნდამენტური დირექტებების არასათანადო დონის გამო. საზღვარგარეთ შექმნა ინგლისურ და არაბულ ენებზე 24 საათიანი მაუწყებლობის ტელეარხი “Russia Today”, ხოლო დასავლეთის წამყვან გაზეთებში სახელმწიფოსთან დაახლოებული ექსპერტები რეგულარულად აქცეუნებენ სტატიებს რუსული “სუვერენული დემოკრატიის” წარმატების შესახებ. ასეთი აგრესიული საინფორმაციო პოლიტიკით რუსეთი ცდილობს დაარწმუნოს დასავლელი ობივატებლი “რუსული ხედვის” უპირატესობაში. მნიშვნელოვნად გაძლიერდა რუსეთის საგარეო დაზვერვის აქტიურობა დასავლეთის წამყვან ქვეყნებში და სხვა.

მედვედევის რუსეთმა „მწვანე შექი“ აუნთო ა.შ.შ-ს და მის დასავლელ მოკავშირეებს „არაბულ გაზაფხულად“ მონა-თლული რევოლუციების ხელშეწყობაში ეგვიპტესა და ლიბიაში, რადგან ნებისმიერი კონფლიქტი არაბულ სამყაროში „რუსეთის წისქვილზე ასსამს წყალს“-მცირებად იზრდება ფასები ენერგორესურსებზე, მაგრამ იგივე რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგი წაგიდა მისი ერთგული მეგობრის - სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის რეჟიმის დასამხობად.

2012 წლის მაისში მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად “პუტინი დაბრუნდა - მას ფაქტიურად არ ჰყავდა ძლიერი მეტოქე”. დაბრუნების შემდეგ პუტინმა კელავ განაგრძო “კუნთების დემონსტრირება”. იგი ისევ განაგრძოს საინფორმაციო ომს “რუსული ხედვის” დასამკვიდრებლად, არ ერიდება რუსული საგარეო დაზვერვის “მომსახურებას”, ცდილობს თავისი პირადი მეგობრული კავშირებით („პიროვნული დიპლომატია“) დასავლელ ლიდერებთან არ დაუშვას დასავლეთის ერთსულოვნება რუსეთის საწინა-აღმდევოდ და მიიღოს ქვეყნისთვის ხელსაყრელი გარიგებები, განაგრძობს ენერგეტიკულ ქქსანისას მთელ მსოფლიოში და მიიჩნევს მას გლობალურ პროცესებში რუსეთის მონაწილეობის ერთ-ერთ ურუკ საფუძვლად. პუტინის საგარეო პოლიტიკის შედეგი ასეთია: ეკონომიკა განაგრძობს წინსვლას, 2012 წლისათვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი 2007 წლითან შედარებით გაორმაგდა და შეადგინა 2.5 ტრილიონი დოლარი, მოსახლეობის კეთილდღეობის დონე იზრდება, დასავლელი ბისნესმენები რიგში დგანან რუსული კომპანიების აქციების შესაძლებლობა და რუსულ ბაზარზე დასამკვიდრებლად, აშშ თანახმაა მომავალში უფრო მეტად გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები და სხვა.

2012 წელს რუსეთმა კელავ განაგრძო სირიის დრომოჭმული რეიიმის მხარდაჭერა და კვლავ დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ შეუძლია შეეწინააღმდეგოს ერთადერთი „ზესახლმწიფოს“ ნებას.

რუსეთი ასევე წინ აღუდგა ირანის ბირთვული პროგრამის წინააღმდეგ აშშ-ისა და ისრაელის მხრიდან ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მცდელობას. აშშ-მ აქაც გაითვალისწინა რუსეთის ინტერესი.

პუტინი ისევ განაგრძობს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთაიროვნულ მართვას. საგარეო საქმეთა სამინისტროს, პარლამენტის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის და უშიშროების საბჭოს წევრები და სხვა ოფიციალური პირები მხოლოდ მის თანაშემწევებს ან კურიერებს წარმოადგენს, მათ მხოლოდ პუტინის ნიერ მიღებული გადაწყვეტილებების ტექნიკური მხარეების მოგვარება ევალებათ.

რუსეთი უკვე უარს ამბობს რაიმე შეზღუდავ კავშირებში ჩართვაზე და მონაწილეობას დებულობს მხოლოდ „ელიტარული დონის“ ინტეგრაციებში (დიდი რვიანი, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაცია). იგი ერთადერთია დიდი

რვიანის ქვეყნებიდან, რომელიც არ ერიდება ოდიოზურ რეჟიმებთან ურთიერთობას (პამასის რეჟიმი პალესტინაში, უგრ ჩავესის რეჟიმი ვენესუელაში და სხვა), იმუქრება, რომ კვლავ დაუმიზნებს რუსულ ბირთვულ რაკეტებს უკროპას, საერთაშორისო ორგანიზაციებში ყოველმხრივ აფერხებს მისთვის მიუღებელ ქვეყნებში განსახორციელებელ პროექტებს. თავისი ლიბერალური იმპერიის შესაქმნელად XXI საუკუნეში რუსთი იყენებს ბირთვულ ქობინებზე უფრო ძლიერ იარაღს: ენერგორესურსებს. იმდენად დიდია რუსეთის საგარეო პოლიტიკის დამოკიდებულება გაზის ექსპორტზე, რომ მის საგარეო პოლიტიკას ექსპერტები ხშირად „გაზზე დამყარებულ პოლიტიკას“ უწოდებენ. ამ პოლიტიკის უპირატესობა იმაშია, რომ რუსეთს არანაირი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა ადარ უწევს – უკვე იმის ცოდნა, რომ რუსეთს შეუძლია გადაკეტოს გაზი როდესაც დასჭირდება – ზრდის მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტს. [4]

დღეისათვის გლობალურ დაპირისპირებაში ერთ მხარეს არიან აშშ, დიდი ბრიტანეთი და რამდენიმე ევროპული ქვეყანა, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან, რომლებიც ცდილობენ დაუპირისპირდნენ რუსეთს, მეორე მხარეს კი - რუსეთი, სირია, ვენესუელა, ირანი და ბელორუსის მსგავსი ყოფილი საბჭოთა ქვეყნები. რუსეთთან თანამშრომლობს ჩინეთიც, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციით.

ამ ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის არიან ევროპის წამყვანი ქვეყნები - გერმანია, საფრანგეთი და იტალია, რომლებსაც ორივე მხარესთან აქვთ მჭიდრო პოლიტიკური და ბიზნეს კავშირები.

ასეთია, უახლოესი პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ექსპერტთა დიდი ნაწილი “ცივ მშევრულობას” უწოდებს.

ლიტერატურა

References:

1. i. toroSeliZe. putinis sagareo politika. Tbilisi, 2008.
2. e. uruSaZe. rusuli sagareo politikuri azrovneba postsabWoTa periodSi. Tbilisi, 2006.
3. A. Чубаис. Миссия России в XXI веке. «Независимая газета», 1 октября, 2003г.

4. Lucas, Edward. Putins Russia and the Threat to the West. New York, 2008.

Merab Tsomaia

The Post Soviet period Russia's foreign policy

Summary

In this article considered post Soviet period Russia's „Concentration”, „Liberal Empire”, „Sovereign Democracy” and „Cold peace” policy's basic aspects, showed a role of B. Putin of most dissolution Russia's transform one of „the great state” of world, underlined modern Russia's foreign policy basis is its power policy - control on the oil and gas - pipe - lines of the large part of the European and Asian countries, „the power cudgel” gives Russia means influence on the foreign policy this countries.

Keywords: foreign policy, Russia, B. Putin

Reviewer: Professor Lali Kharbedia, Akaki Tsereteli State Universiti

Мераб Цомая

Внешняя политика России постсоветского периода

Резюме

В статье рассматриваются вопросы внешней политики России постсоветского периода, основные аспекты «сouverенной демократии», «либеральной империи», «холодного мира» и т.д. Показана роль В.Путина в превращении России в «великую державу». Внешняя политика современной России основана на примате силы, - нефть, газ, средства их доставки – контроль над ними во многих странах Европы и Азии дает России “мощную дубину» рычага давления.

Ключевые слова: Внешняя политика, Россия, В. Путин

Рецензент: Профессор Лали Харбедиа. Государственный Университет им. А. Церетели

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

ლაშა ცაიშვილი

გაშა და ბუნება

„ვაჟას ჩარგალში სამი ლიდი მასწავლებელი პყავდა: დედა
მამა და ბუნება“
გ. ხორნაული

სამყაროს ბუნების გაგება, მსოფლეოდვა თუ განცდა
ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას, ხედვას და ნიჭს
საჭიროებდა. მისი შემცირება განსხვავებულად ხდებოდა
სხადასხვა საუკუნეებსა და ეპოქებში, რის გამოც
მრავალგვარი დამოკიდებულება პქონდათ მისადმი
პირველყოფილ ადამიანებს, საზოგადოების კულტურულ
ფენებს, ფილოსოფოსებს, მეცნიერებს, ბუნებისმეტყველებს,
ასევე პოეტებს, მწერლებს და ა.შ.

მანანა სიდაშელი წიგნში: „სამყაროს სურათი არქაულ
საქართველოში“ გვთავაზობს ეთნოლოგი-ანთროპოლოგი და
ფილოსოფოსის პ. ლევისტროსის – მითოლოგის
განმსაზღვრელ, ახალი და მეტად მნიშვნელოვანი თეორიის
ავტორის სიტყვებს: „ადამიანის ცხოვრებას, მის ქცევას, ორი
ძირითადი კანონზომიერება განსაზღვრავს: ბიოლოგიური (ანუ
ბუნებრივი) და კულტურული. აქედან გამომდინარე შეიძლება
ითქვას, რომ სამყაროში ორი ძირითადი სტრუქტურა
მოქმედებს ადამიანური გონების და ფიზიკური რეალობისა.
ადამიანის მიერ ბუნების შეცნობის მხოლოდ ერთი გზა
არსებობს. საჭიროა ადამიანმა ქცევის, მეტყველების,
ცნობიერისა და არაცნობიერის გაანალიზება შექლოს და
მათი ძირითადი სტრუქტურული ელემენტების გამოყოფა და იმ
უნივერსალური კანონების გამოაშარავება, რომლებიც
ერთხაირად ასახავს როგორც ადამიანს, ასევე მთელს
ბუნებას.“ [1]

ბუნების ლაბირინთოსში ვაჟას მისტიური წიაღსვლა
გვაგონებს ანტიკურ მითოსს: თეზეოზისა და ადრიანეს
შესახებ, ამ მითის მიხედვით: თეზეოსი შედის ლაბირინთოსში,
კლავს ურჩხულს და ადრიანეს ძაფის დახმარებით ახერხებს
უკან მშვიდობიანად დაბრუნებას. შეიძლება ითქვას რომ იგივე
როლი შეასრულა ვაჟამ ბუნების მისტერიათა ლაბირინთოსში.
სადაც ვაჟას თეზეოსური გმირობა და ურჩხულის მოკვლა
განასახიერებს მცდელობას იმ შეხედულებათაგან

განთავისუფლებისა, რომლითაც ბუნება აღქმული იყო სხვადასხვა ნაკლოვანებებით და არა შესაბამისი სიმაღლით, ადრიანებს სახეში სიმბოლურად შეიძლება დავინახოთ ის სათნოები რომელთაც სულიერი აღმასვლისკენ მჰყავს ადამიანი.

ზოგადად ხშირად ხდება ქალის გაგება სინაზისა და სულიერი სათნოებების სიმბოლოდ; ამდენად შეიძლება აიხსნას ადრიანებს არსებობა ამ მითში. ანუ თეზევსი უნდა იყოს მფლობელი იმ სათნოებისა რასაც ადრიანე განასახიერებს წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შეძლებს მისის განხორციელებას.

ადრიანებს ძაფი წარმოადგენს ამ სათნოებათა გავრცობას, აღორძინებას და განმგებელებას, იგი არის ზღვარი სიკეთესა და ბოროტებას შორის, რომელიც ადამიანის გულზე გადის; და რომელიც მან უნდა გადალახოს... რადგან ბუნების ლაპირინთოსში სრბოლა ოდენ იმ ეზოთერულ პირო ხელეწიფებათ, რომელთაც შეძლეს უპირატესად საკუთარ თავზე აღმატება და გამარჯვება, რაც საწინდარია ეგზომ ეზოთერულობისა და თეოზისისა. ადრიანას და თეზეოსის მითზე ამგვარ ეგზეგეზას ანგითარებს ზ. გამსახურდია წიგნში: „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“. ჩვენ ოდნავ განხვავებული ინტერპრეტაციით წარმოვადგინეთ მისი არსი.

ვაჟას მიერ აღწერილი ბუნების ფერთა პალიტრა ისეთივე მრავალგვარია, როგორც თავად ბუნება. იგი ჭეშმარიტი ფერმწერი და გასაოცარი ფოტოგრაფია სულიერი თუ უსულო სამყაროსი. მგოსნის მიერ გადმოცემული ბუნება გვიმედავნებს იმას, რომ იგი ღვთის ქმნილებაა და გვიჩვენებს როგორი დამოკიდებულება აქვს მას სამყაროსთან და ასევე სამყაროს მის მიმართ. ამასთან, რა სახის ურთიერთობა სუფევს ადამიანსა და ბუნებას შორის.

ვაჟა-ფშაველას ჰქონდა იმდენად უნიკალური და გენიალური ნიჭი, რომ შეეძლო ცხოველთა, ფრინველთა, უსულო თუ სულიერ საგანთა უბადლო პერსონიფიცია, რაც მისი კალმიდან ისეთი ძალმოსილებით და შთაგონებით ხორციელდებოდა რომ ტოვებდა შთაბეჭდილებას - ერთგვარი მყისიერი რეინგარნაციისა. (რა თქმა უნდა არა პირდაპირი, არამედ წარმოსახვითი და ვირტუალური გაგებით). რომ არა მსგავსი წარმოუდგენელი წარმოსახვის უნარი, სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა ბუნების გათავისება, გაშინაგანება, იმგვარი განუზომელი მასშტაბებით როგორც ეს მან შეძლო.

ალბათ ამიტომაც წარმოთქვა ლექსში „ნუგეში მგოსნისა“ თამამად შემდეგი სიტყვები:

„უსულო საგნებს სული ჩავბერე,

ავასაუბრე ლოდები კლდისა

და, როგორც მეფე, გავათამამე

მწირი ბალახი, ის ქეჩი მთისა.

მადლი მფენია მარჯვენაზედა

იმ შემომქმედის, მაღალის ღვთისა!“^[2]

ფშაველსეულ ბუნების სახის მეტყველებაში მკაფიოდ გამოსჭივის ესთეტიური, ზნეობრივი, სოციალური გულტურული, ზოგადსაკაცობრიო, ქრისტიანული და ლვოისტეტყველური ღრმა და საინტერესო საფუძვლები.

ვაჟას შვლის ნუკრი ადამიანის მსგავსად დასტირის გარდაცვლილ მშობელს, ვინ იცის ეგებ ცხოველთა სამყაროც თავისი მგრძნობიარობით, დიდი დოზით უახლოვდება ადამიანურს და ამის განცდა და განჭვრება უჩვეულოდ შეძლო და გადმოგვცა მგოსანმა. აი რას ამბობს იგი ლექსში „ლურჯას“:

„ლურჯაგ, შენც გრძნობა გქონია,

როგორც კაცს, ადამიანსა!“

.....

„შენც გული გიგებს, ტიალო,

მიგალო სამშობლოს მთიანსა!“^[3]

კლდეც მეტყველებს, ტირის და განიცდის იგი ხან რწმენის ხან საქართველოს და ხან ადამიანის სიმბოლოდ გვევლინება. ხშირად იგი სახარებისეულ ქვებსაც გვაგონებს რომელთა დაღადება ლვთიური სიმართლის, მცნებების და სიკარულის სადიდებლად ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს. მცნარეები, ფრინველები წყაროები და სხვ. განიცდიან ხიხარულსა და სევდას ტკივათ და ტირიან ხშირად ადამიანთა სახის და ქვევის ალგორიტმი ანალოგები არიან, მათში სარეისებრი ეფექტით ირეკლება კაცთა ზნე-ჩვეულებები რაც მეტწილად მამხილებელი, მაგალითის მიმცემი და დიდაქტიკურიცაა. მაგრამ გარდა ზნე-ჩვეულებებისა ბუნებაზე ადამიანთა დაცემულობა და ცოდვებიც მოქმედებს, რაც შემდგომ სტიქიათა შემოტევის სახით უკანვე უბრუნდება მას.

ბუნება თავისი არსებობის გარიერაჟზე დმერთისა და ადამიანის მორჩილების ქვეშ იმყოფებოდა, ამჟამად კი იგი ლვთის იარაღია კაცობრიობის დასაფიქრებლად და

გამოსაფხი ზღვებლად. ადსანიშნავია, რომ მგოსანს არც ეს სახესხვაობა ბუნებისა არ გამოპარვია:

„ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტკირთველი არის
საქმის თეორის და შაგისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც-კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!“^[4]

და კიდევ:

„დადგა სოფელში გვალვა, გახმა დედამიწა, უსმება მოსავალს ძირი. „გჭე, რას გვიშვრება ი დალოცვილი ღმერთი, აიღო ჩვენზე ხელი! გვალირსე კიდევ ნამი, ღმერთო, შენის მადლისა და სახელის ჭირიმე!“

- გაისმის სასოწარკვეთილი ხმა სოფელში.
- ცოდო გამრავლდა, შეილო, ცოდო,
- უუბნება ერთი მეორეს, მეორე მესამეს, მესამე მეოთხეს, მეოთხე მეხუთეს და სხვ.
- გინდათ ერთმანერთის დაღუპვა, გშურსთ მეზობლისათვის ერთი ღუმა პური და ღმერთმაც დაიშურა თქვენ-თვის. ძან კარგა გვიშვრება, ახია ჩვენზედ!“^[5]

მაშასადამე, როგორც უკვე ავდნიშნეთ, სამყარო ირეკლავს კაცთა მოდგმის ყველა მოქმედებას, ცოდვასა თუ მადლს, რისი მაგალითებიც წმ.წერილში უხვად მოგვეპოვება, აქვე მოვუხმობთ ერთ-ერთ ამონარიდს წმ. სახარებიდან სადაც წარმოდგენილია ბუნების რეაქცია კაცობრიობის ყველაზე დიდ ცოდვაზე, როდესაც მათ მაცხოვარი ჯვარს აცვეს: „ხოლო მექესით უამითან დაბნელდა ყოველი ქუეყანი, ვიდრე მეცხრედ უამაღმდე.“ . . . „და აპა კრეტსაბმელი იგი ტაძრისაი მის განიპო ორად ზეითვან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანი შეიძრა და კლდენი განსთქდებ“.^[6]

ბუნების უფლის იარადად წარმოსაჩენად საქმარისია გავისხნოთ სოდომ-გომორის დასჯა, ნოეს დროს მოვლენილი წარდგნა და ა. შ.

ვაჟა თავის შემოქმედებაში გადმოგვცემს ბუნების სიხარულს მაცხოვრის შობასა და აღდგომასთან დაკავშირებითაც:

„გაჩუმებულა სამყარო,
შაჟენებულა წყალია,
ბუნების არსოთ უცელათ
კლდისაკე პრჩქბათ თვალია.
გადახალისდა ქვეყანა,
უცხო რამ იგრძნო ძალია.
„არ წაგსწყმდებიო, არაო“, -
ბუნებამ დაკკრა ზარია.“ [7]

ეს საშობაო ლექსი გადმოგვცემს იმასაც, თუ როგორ განიცდის სამყარო დაცემულობას და ასევე იმასაც როდესაც დგება უამი, მისი გამოხსნისა რასაც სამწუხაროდ ადამიანები ნაკლებად გრძნობენ და განიცდიან. მგოსანი ამ შემთხვევაში როგორც ჩანს ესესება იაკობ მუციქულის აპოკრიფული სახარებიდან ცნობებს, რომლის მიხედვითაც მაცხოვრის შობისას შედგა წყალი და დადგა ქარი, ერთი სიტყვით ყველა სტიქია დაღუმდა და იმ დიდებულ წამებში უფლის მოლოდინში მოედი სამყარო უჩვეულად გაირინდა.

აი რას ამბობს მგოსანი ბუნების მიერ აღდგომის დღესასწაულის შეგრძნება-მიგებებაზე თავის სიყრმის დროინდელ ლექსია და მოთხოვობაში:

„ქრისტე აღდგი! და სატანა, მაცდური ხალხის,
იყაწრის სახეს, იგლეჯს თმასა მოთქმა-ზარითა.
ჯაჭვი სისხლული და ერთგული სულის მონობის
გამჭრა შეა სამუდამოდ ფიჭვის ჯვარითა.
მიწა გრძნობს შვებას და იმდერის მოედი ქვეყანა,
მკვდრების ხორცს ისხმენ და წყვდიადით გამოდგენ გარე,
თავ-გაჩქერებილი გაელი აკნესის კერპთა ნამტკრებთან
და მახარობლად ციურ ქვეყნის მობრუნდა მოვარე.“ [8]

და კიდევ:

„სააღდგომობო“

„დღეს შაბათია, წინადღე აღდგომისა. ბუნებაც მომზადებულა აღდგომის მისაგებებლად. ავსილა მისი გულ-მკერდი ყვავილებით, თავზედ ადგა გვირგვინი გამარჯვებისა და ეს დედა, დედამიწა, სულგრძელი, უსაზღვრო სიყვარულით ავსილის გულით, აწვდის ყველას და ყველაფერს ხელს და, როგორც დედა შეილებს, პირჯვარსა სწერს, სიცოცხლეს დიდის ხნისას, სიყვარულისას სოხოვს მათვების ზეცას. ყველგან სიხარულია, ყველას გულში სიამოვნებაა მომავალ დღესასწაულის გამო“ [9]

თუმცა გ.კიკნაძე ამ კუთხით ვაჟას მიერ ბუნების გრძნობას სხვაგვარად აანალიზებს. მისი აზრით მგრსნის შემოქმედებაში მოცემული არის ბუნების ისეთი გრძნობა, რომლის მიხედვითაც ბუნება დაუქვემდებელი, თავისთვის და დამოუკიდებელია. აზრის ნათელსაყოფად მეცნიერს ვაჟას პოემიდან შემდგა ციტატა მოჰყავს:

„ათასჯერა წვიმს, სეჩუვაა,
მთებზე ნისლები პკიდია,
ბევრი რამ ხდება ქვეწადა,
შიგ ცოდვა-ბრალი ღიდია;
ბუნება წარბსაც არ იხრის,
მაინც მშვიდი და მშვიდია.“^[10]

გარკვეული დოზით შეიძლება დაგვთანხმოთ გ. კიკნაძის მოსაზრებას მაგრამ მხოლოდ როგორც ბუნების ხასიათის ერთ-ერთ გამოელინებას, დაუშეგებელია ბუნების ზოგიერთ შემთხვევებში ურეაქციობა მიჩნეულ იქნას მის სრულ განსაზღვრებად, მაშინ არც ლექსში „მოლოდინი“ აღმოჩენებოდა ვაჟას შემდგა სიტყვები: „ბუნება ნანობს ცოდვასა, იუდა სულ-კრულივითა“. ^[11]

ბუნება ზოგჯერ მყისიერად, ზოგჯერ ნაგვიანევად, ხან კი დუშმილით ახდენს თავის რეაქციას. იგი ღვთის ნებით მოქმედებს და მის ღუმილში თუ დაგვიანებაში, ადამიანებს ეძლევათ დრო დასაფიქრებლად და მოსანანიებლად ამის დასადასტურებლად შეიძლება ბიძლიდან გავიხსენოთ იონა წინასწარმეტყველისა და ნინევიას ეპიზოდი, ღმერთი მოუწოდებს წმ. იონას იქადაგოს ნინევიაში ცოდვათა მონანიება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ქალაქი აღიგვება პირისაგან მიწისა. იონა წამოწვება ხის ძირას და ელოდება ნინევიის დაქცევას, მაგრამ ქალაქი გადარჩება მასში მცხოვრებთა დიდ სინაწლში ჩავარდნისა და ცოდვათა მონანიების გამო.

ამდენად ბუნება მოქმედებს რა განსაკუთრებული განგებულებით მისი ამგვარადვე ასახვა ლიტერატურაში მიანიშნებს მწერლის თუ პოეტის სამყაროს მართებულ და ობიექტურ აღქმაზე. სწორედ ამ კვალს მიჰყება ვაჟაც, იგი საუბრობს ბუნების ცოცხალ რეაქციებზეც და ზოგიერთ შემთხვევაში მის ურეაქციობაზეც; ამას სხვა მრავალ ნაწარმოებთან ერთად გვიდასტურებს მისი პოემა „სინდისი“, სადაც გადმოცემულია კაენისა და აბელის ტრაგედია, რომელიც სრულიად სულიერი თუ მატერიალური სამყაროს

ტრაგედია და განცდის მიზეზი გახდა. (ამ საკითხს შევეხეო წინა თავში რის გამოც აქ ადარ განვავრცობთ) აქვე მოუხმობო კიდევ ერთ ციტატას გველის მჭამელიდან:

„მოვარემაც გადმოაშუქა
საჯიხეების სერითა
და დააშტერდა თავის –მკლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავიც მიღ-მოდიოდა
უდროოდ, ნელის მდერითა...
ცრთა გაჟკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა
და გათამაშდის მწვანეზე
ლალად, მოლხენით, სტვენითა.“^[12]

ამ ციტატას გ. კიკნაძეც მოუხმობს თავისი მსჯელობის კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავისი წიგნის სხვა ნაწილში გარკვეულ მოვლენებზე ბუნების ოეგირებას არ უარყოფს. მართალია ციტატის ბოლოს საუბარია იმაზე თუ ნიავი როგორ მდერის თამაშობს და მოლხენით უსტვენს მაგრამ ციტატის დასაწყისში ვხედავთ, რომ მთვარე მოზარე ქალის ფერით აშტერდება თვითმკვლელს. მოზარე მთაში ნიშნავს მგლოვიარეს, ამდენად ბუნება განიცდის და გლოვობს თვითმკვლელ მინდიას.

ლექსში „დამჟ მთაში“ გარდა ბუნების ობიექტური ხედვისა, სულიერი კუთხით არის გაანალიზებული ღვთის მიერ გასაოცარი ჰარმონიით და სიყვარულით შექმნილი სამყარო.

„ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუწონია.
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!..
ხევი მთას პმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყებს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცინარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლ-გადამდინარედ!“^[13]

ამ სტრიქონებში მკაფიოდ სჩანს, რომ აქ გამოყენებული ხიცვა მონობა არა პირდაპირი გაგებით არის ნახსენები. აქ საუბარია სამყაროში შემოქმედის შემთხვევაში წესრიგსა და სიცვარულზე, რომლითაც ქმნილებები მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული ურთიერთზე. ისინი ამყარებენ ავსებენ და უჩვეულოდ აბალანსებენ ერთმანეთს; ამგვარი ბალანსის პრეზენტაცია წარმოადგენს ერთგვარ თეოლოგიურ არგუმენტს დმერთის არსებობასთან დაკავშირებით. ქრისტიანულ დავთისმეტყველებაში არის საუბარი იმაზე, რომ ოთხი სტიქია მიწა, ჰაერი, წყალი და ცეცხლი, რომლისგანაც შედგება სამყარო ბუნებით ურთიერთ საწინააღმდევო არსით შეუთავსებელი და შეურიგებელი მატერიები არიან. ამდენად მათი თანაარსებობა დავთის მადლით და სწორედ იმ ხიცვარულით არის შეკრული, რომელიც შემოქმედმა ჩანერგა მთელს სამყაროში.

„თვით ეს შესაქმის თანამტკიცება, შენარჩუნება და წარმმართველობა გვასწავლის ჩვენ, რომ არის დმერთი - ყოველივე ამის შემამყარებელი, შემამტკიცებელი და მარადებამს წინაგანმგებელი. მართლაც, როგორ მოხდებოდა, რომ საწინააღმდევებო ბუნებანი (ვამბობ ცეცხლისას და წელისას, ჰაერისას და მიწისას) ერთი ქვენიერების შესავსებად ურთიერთს შეუერთდებოდნენ და თან დაუშლეულნიც დარჩებოდნენ, ყოვლადძლიერ რამ ძალას რომ არ შემოეკრიბა ისინი და არ დაეცვა მარადებას დაუშლეოდ?“^[14]

თ. შარაბიძე წიგნში „ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“ განიხილავს დაქნაშვილის აზრს, რომლის მიხედვითაც „ვაჟასთვის არ არსებობს რაიმე გარეგანი ძალა“ ანუ დმერთი. კრიტიკოსი იშველიებს მგოსნის ერთ მოთხოვობას, სადაც საუბარია იმაზე, რომ სოფლის ნახირი გადათელავს მინდვრის ყვავილებს ეს უანასკნელნი კი დმერთის ნაცვლად დედამიწას სთხოვენ სიცოცხლის ადგგნას. თ. შარაბიძე შენიშნავს, რომ „ყვავილები მიმართავენ დედამიწას, როგორც დედასა და მშობელს, რაც სრულიად არ გულისხმობს დმერთის უგულებელყოფას.“^[15] კრიტიკოსს იმ შემთხვევაში აქვს უფლება მწერალს რაიმე სახის მსოფლმხედველობა მიაწეროს თუ იგი ეყრდნობა მისი მთელი შემოქმედების ანალიზს. რაც შეეხება ერთი კონკრეტული მხატვრული ნაწარმოებიდან მსგავსი დასკვნის გაკეთებას არამართებულია მითუმებებს, რომ ვაჟას უამრავი ნაწარმოები ამის საწინააღმდევებოდ მეტყველებს.

მაგალითად „მთების სიზმარი“, „ქოლი“, „მთის წყარო“, „მტრედები“, „ვერხვი“, „ხმელი წიფელი“, „ვესვები“, „ქურდელი“ და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი. ვაჟას ნაწარმოებები ადასტურებს დმრთის მიერ და ურთიერთშორის ბუნებაში ჩადებულ მართვის მექანიზმები. ეს მსოფლგანცდა საოცარი მხატვრული ოსტატობით ვაჟამ გადმოგვცა კიდევ ერთ ლექსში:

„მთა და მთვარე“, სადაც მოცემულია სასოწარკვეთილი მთვარის სცენა რომელსაც მობეზრდა წყვდიადთან ბრძოლა, კლდე-ღრეზე ცხვირ-პირის მტვრება და ნატრობს რომ ჰყავდეს ისეთი ვინმე, ვინც გულში ლახვარს ჩასცემდა. თუმცა ამ დროს გამოჩნდება მთა და იგი გამომაფხიზდებულ ლახვარს ჩასცემს არა მთვარეს, არამედ მის არაჯანსად მდგომარეობასა და განწყობას:

„მთვარებ, ნუ იტყვი მაგასა,
მთვარევ, ნუ პეარგავ რჯულსაო,
წესს რადა პმტყუცნობ თავისას,
ეშმაკს რად აძლევ სულსაო?
ეყელა ეგრე ვართ შობილნი
ერთი-მეორის მსახურად;
ერთურთს ვშველო, ერთურთსა ვსწყალობთ
პირნათლად, ჩამოხატულად.“^[16]
ვაჟას ერთ ულამაზეს ლექში „სოფლისა წესი ასეა“
მკაფიოდ არის გამომზეურებული, თუ როგორ მართავს
სიყვარულის ენერგია ბუნებას და მთელ სამყაროს:

„დავიხოცებით, სიყვარულს
საქუთარს, ნადებს გულადა,
ვკარგავთ პირადად და ვფიქრობთ
საქვეყნოდ დაკარგულადა.
მკვდარნი ვეკარგვით სიყვარულს,
ის ისევ რჩქბა ცხოვლადა,
დაფრინავს, როგორც ფარვანა,
სამო, კარგი ყოვლადა,
გულის ძგერა აქვს სამეფოდ,
ვნებათ ლელვა ჰყავს მშობლადა.
ცოცხლებს უმგერებს კვლავ გულსა,
შიგ ია-ვარდის მრგველია,
იმისებან ჰყვირის ირემი,
მისით დაფრინავს შველია;
მისგანა გალობს ბულბული,

მისგნითვე მწვანობს ველია,
იმისგან ხარობს ბუნება –
უკანასკნელი მწერია...
ზღვაში იღუპვის ჭაბუკი,
თავის სატრფოსთვის ხელია.
დიდება ქვეყნის შემოქმედს,
რა კარგად დაუწერია!..”[7]

მგოსანი ამ სტროფებში თითქოს პედანტური სიზუსტით
გამოსახავს ბუნებაში სიყვარულის განფენილობის სხვადასხვა
დონეებს, რომელიც უკანასკნელ მწერამდევც მიდის, ერთი
სიტყვით სამყაროს ყოველი არსი ამ დიადი გრძნობით არის
გაჯერებული და გაუდენილი. მისი ონტოლოგიური მექანიზმი
ამ ენერგიით იმუხტება და იმართება.

მოთხოვთ „კოდალა“ ღრუბელს როგორც მამას შვილები
ისე უყვარს ბუნება და არემარეს ოჯახად მიიჩნევს.
უკანასკნელი ბუზესაც თავის გულმკერდით ადზრდილად
თვლის. მგელს მახინჯ შვილს უწოდებს, მაგრამ მაინც უყვარს.
თითოეული გადატეხილი ლერწამი სტკივა და ტირის.

კოდალა მთელ ტყეს ყველა ფრინველსა და ცხოველს
აბრაზებს, რის გამო ქორი დასასჯელათაც გამოუდგება,
მაგრამ ტყე ტირის ამ ყველაფრის გამო.

ვაჟას ბუნება ღმერთობან დამასხლოვებელ ერთ-ერთ
საუკეთესო საშუალებად მიაჩნია. მან ეს შეხედულება
გაგვიმელავნა ლექსში „მთას ვიყავ“:

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდებ,
თვალზინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაპობდი დმერთობანა.“ [8]

ბუნების მეშვეობით ღვთის შეცნობა და მასთან
დაახლოვება ქრისტიანობის წიაღისოვთვის სრულიად არ
გახდავთ უცხო, მაგალითად ცნობილია, რომ წმ. ბარბარე
სწორედ ბუნებაზე დაკირვებამ მიიყვანნა ჭეშმარიტი დმერთის
შეცნობამდე.

წმიდა მამები და მეცნიერები ბუნებას გადაშლილ წიგნად
მიიჩნევენ, რომელშიც ღვთის არსებობა და სიდიადე უნდა
ამოვიკითხოთ.

მ. ვ. ლომონოსოვი ამბობდა: „შემოქმედმა ადამიანთა
მოდგმას ორი წიგნი მიანიჭა. ერთში თავისი სიდიადე აჩვენა;
მეორეში - თავისი ნება გაუმჯდავნა. პირველი წიგნი-ეს არის
ხილული ქვეყანა, რომელიც უფალმა იმისათვის შექმნა, რომ

ადამიანს, შეხედავდა რა ამ უზარმაზარ, მშვენიერ და გამართულ შენობას, მისთვის მინიჭებული შემცნების უნარის წყალობით, ედიარებინა დვოის უკვლადძლიერება. მეორე წიგნი - წმინდა წერილია. მასში შემომქმედი გვაკურთხებს სულის ცხონებისაკენ. წინასწარმეტყველთა და მოციქულთა ამ დვოისულიერ წიგნებში განმარტებლები არიან გალესიის დიდი მოძღვრები. ხოლო პირველად ნახსენები წიგნის განმარტებლები, რომელშიც მოცემულია ხილული სამყაროს აგებულება, არიან ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ასტრონომები და ბუნებაში გამოვლენილ სხვა დვოიურ მოქმედებათა ამსხელები^[19].

გალილეო გალილეიც აცხადებდა: „ბუნებრივ მოვლენებში (მოქმედებებში) ჩვენ ვხედავთ უფალ დმერთს და იგი ამ დროს ისეთივე აღმაფრთოვგნებელია, როგორც დვოიურ წერილში^[20]“

სამყაროს ჭვრება მისი სიღრმისული შესწავლა და დაკირვება დვოის აღიარებისა და დიდების სურვილს ბადებს. ქრისტიანულ ლიტერატურაში უხვად არსებობს მსგავსი მაგალითები როგორსაც ბუნების მოვლენებზე ცხოველთა, ფრინველთა, მწერთა და სხვ. დაკირვების შედეგად ადამიანი მიღის დვოის არსებობის აღიარებამდე, ჩნდება სურვილი მისი დიდებისა. „ეს საკმაოდ აპრობირებული მეორები და ამიტომაც მსგავს ისტორიებს უხვად ვხვდებით სხვადასხვა წმინდანთა ცხოვრებებში, წიგნში „ჩვენთან არს ღმერთი“ და ა. შ.

ანალიგური მეთოდი აქვს გამოყენებული ვაჟას თავის მოთხოვაში „პატარა მწყემსის ფიქრები“, პაპა და შეილიშვილი ბუნებაში იმყოფებიან სადაც ბაგშვი შენიშნავს ორბის უცნაურ მოქმედებას, რომელსაც კლანჭებში ძვალი პქონდა მოქცეული ხან ძირს დაანარცხებდა, ხან კი ჩამოფრინდებოდა ისევ აიტაცებდა მაღლა. მერე ისევ ძირს ჩამოაგდებდა და ასე იმეორებდა რამოდენიმეჯერ. პაპამ ამგვარად განუმარტა შვილიშვილს ორბის ესოდებ უცნაური საქციელი: „ორბმა ეგრე იცისო, - მითხო იმან: - როცა ძვალს ნისკარტით ვერ გასტეხს, რომ ტვინით ჩაიპოხოს ყელი, რიყეზედ ჩამოაგდებს მაღლით ძვალს, დაამსხვრევს და მერე ტვინს ისე შაქეცვევაო. დიდება შენთვისა, ღმერთო, ფრინველსაც ამოდენა ჭკუა პქონია!..“^[21]

ვაჟას მოთხოვაბის ეს გაიზოდი ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ბუნებისმეტყველების დვოისმეტყველებისა.

აქვე შეუძლებელია გვერდი აუაროთ მწერლის კიდევ ერთ მოთხოვნას „ერთი უყურეთ ტყესა-და!“, სადაც ავტორი მკვდარი ტყის კვლავ გაცოცხლების მაგალითზე გვინმარტავს მკვდრის აღდგენის მისტერიას, რომლის შემთხვევებსაც მრავლად ვხვდებით წმ. წერილსა და წმინდანთა ცხოვრებაში; თუმცა ხშირად მსგავსი ფაქტები ადამიანთავის დაუჯერებელი და წარმოუდგენელია. ღვთიურ საიდუმლოთა ეგზეგზა ბუნების მაგალითებით ქრისტიანული ლიტერატურისათვის როგორც უკვე შევნიშნეთ უცხო არ არის მწერლობაში კი, არსებული მსგავსი განმარტებითი მაგალითები მიუთითებს წმინდა წერილისა და სარწმუნოებისადმი თანადგომის სურვილზე, მათი ერთგარი განმარტების მცდელობით ადამიანთა ღვთიურ ჭეშმარიტებამდე მიყვანაში.

ტყე ვებერთელა ფართობზე იყო გადაჭიმული და განთქმული იყო თავისი ნადირ-ფრინველით, მაგრამ ერთხელაც სრულიად გადახმა და გადაშავდა. დაშრა ხევები, წყაროები და ნაკადულები ამიტომაც დარჩა სრულიად მარტო აღარც ცხოველები აღარც ფრინველები და ადარანაირი სულდგმული მას ადარ ეკარებოდა ტყე ტიროდა და ღმერთს ემუდარებოდა ან გაეცოცხლებინა ანდა სიცოცხლის სურვილიც დაჰკარგვოდა და სრულიად გამქრალიყო. მაგრამ მოხდა საოცრება ერთხელაც ტყე უეცრად აბიბინდა და ისეთი ლაბაზი გახდა, რომ სამოთხეს დაემსგავსა:

„ტყეს შრიალი, ბიბინი გაჲქონდა. რაც ხმელობის დროს ძალა აკლდა, ეხლა ერთი ათასად შეევსო. მართლაც ავსილიყო ნადირებით, დანაგარდობდენ აუარებელი შელები, ირმები... ფრინველების ჟივილ-ხივილი ადამიანს აყრუებდა. ხევები, დამშრალი ხევები საამურად მოჩუქერებდენ, დამშრალ წყაროებს ამოქეთქათ. ტყეს უხაროდა, ღმერთს მადლობას სწირავდა... ერთი ვინმე მორწმუნე შემდგარიყო მაღლობზე და ისეთი ხმით გაჲკივოდა, რომ დედამიწა იძგროდა: „ურწმუნონო, ხომ იხილეთ ძალა უფლისა? ასევე აღადგენს უფალი მკვდარსა, როგორც აღადგინა გამხმარი ტყე. დიდებულ არს სახელი უფლისა!“ ხალხი პირჯვარს იწერდა და ერთხმად გაიძახოდა: მართლაც, ერთი უყურეთ ტყესადა! დიდება შენდა, უფალი!“

და კიდევ:

„სახლში რომ დაბრუნდენ, თვითეულის სახე სიამოვნების მზით იყო გაბრწყინებული: მოქსწრებ მკვდრის აღდგენას, დარწმუნდა ყველა, რომ შესაძლო ყოფილა აღდგენა მკვდრისა.

— ყველა განგებას ლოცავდა, რომ უსამართლოდ, უბრალოდ არაფრის დამნაშავე ტყე არ დაისაჯა, არ დაიტანჯა სამუდამოდ.

— ყოფილა სიმართლე და დაჯილდოვება ამ სიმართლისა.

აი, რად უხაროდ საერთოდ მთელს ქვეყანას და რისოვის გრძნობდა თავს ბედნიერად.^[22]

როგორ გხედავთ, ეს მოთხოვა ერთი შეხედვით ფრიად მარტივი და უბრალოა თუმცა სულიერი თვალსაწიერით სრულიად სხვაგვარ სიღრმეებს ვაწყდებით მასში. იგი გვიცხადებს არა მხოლოდ საღმრთო ჭეშმარიტებას, არამედ გვაძლევს მაგალითს განსაცდელის დროს როგორი დამოკიდებულებით უნდა იყოს ადამიანი თავისი მდგრამარეობისადმი. ყოველივე ამას კი მოჰყვება დათის სასწაული. ბოლო ციტატაში საუბარია იმის შესახებ რომ უფლის სამართალი ქვეყნად არ იკარგება, ეს საკითხიც ერთობ სადაც არის ხოლმე საზოგადოებისთვის; ზოგი ამ ქვეყნად ხედავს სამართალს, ზოგი კი ვერა. თუმცა კარგსაც და ცუდსაც სულიერი ხედვით თუ გავაანალიზებთ მას უდავოდ შევნიშნავთ. ამ მოთხოვაში ასევე საუბარია იმაზე, რომ სოფლის მოსახლეობა იხილავს ქალის ფორმის ყვავილებით მოსილ არსებას, რომელიც ტყეში ჩაეჭვება და მას ტყისა და ცხოველთა მფარველ ანგელოზად მიიჩნევენ. რაც რა თქმა უნდა მხატვრული ელემენტია თითქოსდა წარმართული ელფერით, თუმცა მთის მაცხოვერებლებს მსგავსი რამ ფსიქოლოგიური განწყობითაც შეიძლება მოჩვენებოდათ, რადგან მთა ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი მსგავსი წარმოდგენებისაგან. ამდენად ნაწარმოებში წარმართული ელემენტების გამოკრთომა მხოლოდ ხალხის რწმენა-წარმოდგენების გადმოცემაა და არა ავტორისეული ხედვა.

ფშაველ მგოსანს აქვს კიდევ ერთი პატარა მოთხოვა „უოლი“, რომლის მეშვეობითაც იგი ამხელს იმ ადამიანებს, რომლებიც ბუნების სხვადასხვა სიკეთეებით სარგებლობენ, მაგრამ ვერ აფასებენ მათ და არ ადიდებენ უფალს ყოველივესთვის, ამასთან არც მაღლიერების გრძნობა გააჩნიათ. ვაჟამ ამ მიზნის მისაღწევად კენკროვანი მცენარე

ქოლი აამეტველა და ძალიან მარტივად ელემენტარული სიმართლე ათქმევინა:

„აგერ ჩემი პატრონი მობრძანდება თავის ცოლ-შვილით ბალის დასათვალიერებლად. გვერდზე წერწების ტანისა, ნაზის სახისა კმარვილი ქალები მოხდევენ, მოვლენ, დამიწყებენ ხელებით თოთხნას, სინჯვას, იტყვიან: „ოჟ, ჟოლას კარგად მოუსხავ, მაგრამ არ დამწიფებულაო“. დამწიფედება ჩემი ნაყოფი და უმაღურად სჭამენ, ერთხელ რა არის, ერთხელაც არ ამოსცდებათ პირიდამ სიტყვა, რომ ჩემი გამჩენი ადიდონ, იმასაც მადლობა შესწირონ. დიად, გამჩენი ადიდონ, რომელმაც თვით ისინი და ჩვენ უკელა – სულიერი და უსულო, გაგვაჩინა და უკელას მშობლიურის სიყვარულით გვივლის და გვლალაობს.“^[23]

მწერალი ამ შემთხვევაშიც ზედმიწევნით გადმოსცემს სათქმელს, იგი ბუნების უმცირესი ნაყოფით შთაგაგონებს მადლიერების განცდას კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას, კოველი დიდი თუ პატარა მოვლენისადმი. მაგალითად ისეთი მოვლენისადმიც კი, როგორიცაა ჟოლის კრევა და რომელიც შესაძლოა რამოდენიმე წუთის შემდეგ აღარც გვახსოვდეს.

რათქმაუნდა ეს არ გახლავთ კონფუციეული რიტუალამდე აყვანილი პედანტიზმი, უბრალოდ ეს არის სწორი ხედვისა და დამოკიდებულების ჩამოყალიბების მცდელობა, ღმერთის ადამიანის ბუნების და ზოგადად უკელაფრისადმი. ის ვინც მცირედზე უმაღურია, დიდზეც ვერ იქნება მადლიერი.

აღნიშნული თემა წმ. წერილისა და ქრისტიანობისათვის ერთ-ერთი კარდინალური პრობლემაა ზოგადსაკაცობრიო საკითხებთან მიმართებაში. ადამსა და ევას, რომ პქონოდათ მადლიერების გრძნობა არ მოხდებოდა ცოდვით დაცემა. როდესაც მაცხვარმა იუდა საიდუმლო სერობაზე პირველად აზიარა მადლიერების გრძნობა რომ პქონოდა არ დაცემოდა.

არც ერთი ტალანტის მქონე და ათიდან ცხრა კეთროვანი განაწყენდებდნენ უფალს, მადლიერება რომ პქონოდათ. ამასთან მრავალი დიდი კატაკლიზმა და უბედურება არ მოხდებოდა დედამიწის ზურგზე, ეს გრძნობა ძალუმად რომ კოფილიყო დამკვიდრებული ადამიანთა გულებში. მადლიერება მადლოთან არის კავშირში და ამდენად მრავალი სიკეთის დასაბამი და განმსაზღვრელია.

მსგავსი ზნეობრივი თემები მგოსნის შემოქმედებით მდელოზე ლამაზ-ლამაზი უკავილებივით უხვად არის მიმობნეული. რომელთაგან ერთ-ერთს შევეხებით. ამ

მოთხოვის პქნია „ვერხვი“, სადაც საუბარია მის აუტანელ მარტოობაზე. იგი დგას კენტად ერთ ყველასგან განცალკევებულ გორაზე და დასტირის თავის გამოუსადეგარ უმადლო ცხოვრებას თითქოს უმადურია ღმერთის ასე უაზროდ, რომ გადის მისი ცხოვრება. იგი შენატრის ტყეს ვერხვის ხეგბის ჯარს, მაგრამ ხმას ერთმანეთს ვერ აწვდიან, იშვიათად არწივი მოინახულებდა მის ტოტებს და მცირე ხნით ყვავილები ხარობდნენ მის ჩრდილ ქვეშ, ზოგჯერ მწევმსებიც თავისი ცხვარ-ძროხით ისვენებდნენ მის ძირას, მაგრამ იგი მარტოობის სევდით სასოწარკვეთილი მაინც უფუნქციოდ გრძნობდა თავს.

„მას შემდეგ, რაც გაჩნდა და გაიზარდა, ვერხვი ხეს ადარ დაკლაპარაკებია, მხოლოდ თავისთვის ელაპარაკებოდა, ესაუბრებოდა; აგრეთვე ღმერთს ემდუროდა: „ეჭ, შე დალოცვილო ღმერთო, თუ გამარინე, კიდეც დამარჩენდიო!“ ამას იტყოდა ხშირად: „რასა პგავს ჩემი უმადლო სიცოცხლე, რას ვაკეთებ ამ ფრიალო მთაზე მარტოდმარტო? თუ ვერაფერს გავიგონებ, ვერავის რას გავაგონებ, ვერავის გავახარებ და თვითონაც ვერ გავისარებ, ეს ხომ მკვდარი სიცოცხლეა?“^[24]

ვერხვი იმის მომწრეც გახდა, შორს ტყეში მისი მძების გუნდი რომ იდგა ზვავმა გადათელა, მაგრამ მაინც მათ გვერდით ყოფნას შენატრიდა. საბოლოოდ ერთ შემოდგომას როდესაც ნააღრევი თოვლი მოვიდა, მწყემსები ყინვის გამო იძულებული გახდნენ ვერხვი მოეჭრათ და დიდი კოცონი დაენთო. მოთხოვის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ ვერხვს ეღირსა მადლის გაკეთება, მაგრამ ამას იგი ვეღარ გრძნობდათ.

ეს პატარა მოთხოვია, თავისი ონტოლოგიით სიმბოლურ-ალეგორიული სიღრმეებისკენ გვიკვადავს გზას. არც ბუნებაში და არც ადამიანთა ცხოვრებაში არაფერი იბადება აზრისსა და დანიშნულების გარეშე. რადგან ყოველივეს შემოქმედმა განსაკუთრებული სიბრძნით და წესრიგით დაბადა მთელი სამყარო. არცერთ სულიერი თუ უსულო ქმნილება მათ შორის ყველაზე უკანასკნელი ქვიშის მარცვალიც კი არ შექმნილა შემთხვევით, თავისი დანიშნულების გარეშე. მოთხოვ-ბაშიც კარგად სხანს, რომ ვერხვი მისმა დამბადებელმა გორაზე რომ ამოზარდა და არა ტყეში სხვა ვერხვებთან, ამით მას სიცოცხლე გაუხანრძლივდა, რადგან ტყის ვერხვებს ზვაგმა მოუღო ბოლო. გარდა ამისა მას ზოგჯერ თავს აფარებდა არწივი, ყვავილები და ყველაზე

ხშირად მწერებით თავიანთი ფარებით. ასე, რომ იგი სიცოცხლეშივე ასრულებდა თავის მისიას, როგორც ბუნებისადმი, ასევე კაცთამოდგმის წინაშეც. თუმცა იგი ამას ვერ აფასებდა. ვერხვს არანაკლები სიქველე პქნება და ადამიანებისთვის სიცოცხლის დათმობაც მოუწია ტყისგან განსხვავებით. მართალია შესაძლოა საბოლოოდ ტყესაც იგივე ბედი გაეზიარებინა, მაგრამ ეს სათუოა, მარტოხელა ვერხვს კი წილად ხვდა ყველაზე ღიღი მისია სიცოცხლეშიც და მის შემდგომაც, ყოფილიყო ადამიანთა განსაკუთრებულ სამსახურში; რაც კველაზე უმთავრესი დანიშნულება არის ბუნებისა. ჩევნ ამ საკითხს დასაწყისში მცირედად შევეხეთ და ქვემოთ კიდევ უფრო ფართოდ გავაანალიზებთ. ეს მოთხოვთ კი ემსახურება ბუნების ყოველი არსის მათ შორის საკუთარი არსებობის დაფასებასა და გააზრებას. გვასწავლის საზოგადოებრივ აზროვნებას და განგვაწყობს დეპრესიის, საოწარკვეთილებისა და სუციდის საწინააღმდეგოდ.

ბუნების მოვლენათა ერთობ საინტერესო ინტერარეზიას გვთავაზობს ვაჟა თავის წერილებში:

„რას მომაგონებს მოღრუბლები, გაშავებული ცა, რომელიდამაც ელვა გამოვარდება, მოდის წვიმა, ხან სეტავა, ხშირად მეხიც ჩამოვარდება და კაცს ზიანს აძლევს; ცხოველები თრთიან, მცენარეთაც კანკალი აიტანს, ბუნება გამტკნარებული, სულგანაბულია? ეს მოვლენა მომაგონებს გამბედავს, სიმართლის მოყვარულს კაცს, რომელიც მართალს მეხსავით თავს დასცემს ხოლმე; ის ბევრს აწყებინებს, მაგრამ მისი სიტყვა კაცობრიობის წყლებს მაღამოდ დაედება, მისი სიტყვა გააღვიძებს კაცობრიობის გულს, როგორც წვიმა გამხმარ დედა-მიწას.“^[25]

თუ კიდევ რას აგონებს ვაჟას ბუნების ზოგიერთი მოვლენა, ამის შესახებ იგი საუბრობს თავის ერთ მოთხოვთაში „კოდალა“: „არ ვიცი, გივლიათ თუ არა დიდს, უდრანს ტყეში? შორიდან ხომ დაგინახავთ შავად დაბურული ლრუბელი, დაფიქრებული? აბა, კარგად დააკვირდით. . . რას მოგაგონებო იგი? თქვენი არ ვიცი მკითხველო, და მე კი მეტისმეტად დაღონებულს, დადარდინებულ ადამიანს გამსგავსებ, რომელიც ისეთ ყოფაშია ჩაგარდნილი, რომ მუდამ წამს რაღაც საშიშროებას, მტრის თავდასხმას მოვლის, მაგრამ დგას შეუპოვრად, გულმაგრად და ადგილიდან ფეხს არ იცვლის. . . თითქოს კიდეც ლოცულობს, ღმერთს მფარველობას ხთხოვს. . .“^[26] „ნუთუ ია ბუნებით და ეკლებით დაჩაგრული არ

მოგვაგონებს დაჩაგრულ სიმართლეს? ეს მცენარე კაცოაგანს არავის დაურგავ, არც მოურწყავ, და ისე არ მოუკვანია: მას ბუნება ზოდის, იგია მხოლოდ მისი მშობელი დედა.“^[27]

ამ წერილში მწერლის მიერ წარმოდგენილი ასოციაციები ბუნების ზნეობრივ და აღმზრდელობით ფუნქციას გვიმუდავნებენ. რომლის წიაღშიც მიმდინარე პროცესები ზოგჯერ სამაგალითოა, ზოგჯერ კი დამაფიქრებელი და მამხილებელი, ბუნება ერთგვარი ხელო-უქმნელი მხატვრული ფილმი თუ ნაწარმოებია, რომლის შემეცნებაც გვაძლევს ორიენტაციას სიკეთესა და სიბოროტეს, სიყვარულსა და სიძულვილს, თეთრსა და შავს შორის. მაშასადამე სამყაროში ერთდროულად ვითარდება რა როგორც კეთილი, ასევე ნებატიური მოვლენები, ისინი ჩვენ ცხოვრებაში გასათვალისწინებელ და დამაფიქრებელ დათიური განგებულებით დაშვებულ მაგალითებს წარმოადგენს.

ვაჟა თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნავს: „კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო. მაშასადამე თვით ბუნება გვაძლევს საზომს სიკარგისას და უარგისობისას და ჩვენ კაცთა არ გვეხმის თუნდაც, რომ გვეხმოდეს მაინც ქურადღებით არ ვეპყობით ამ ბუნების კანონს მის განაჩენს.“^[28]

და კიდევ:

„არ შეიძლება კაცთა ცხოვრებაში ისეთი რამ მოვედუნა დავასახელოთ, რომ მისი მსგავსი თვით ბუნებაშიც არ მოიპოვებოდეს. ბუნებაში ვხედავთ ძლიერების წარმომადგენელთ: ლომს, ვეფხს, არწივს. ჩვენს საზოგადოებაშიაც არიან ისინი, მხოლოდ აღმოჩენა უნდა. ლომის სურათი ხომ გვიყვარს და არანაკლებ მაზე ლომქაცისა მოგვწონ..., აგრეთვე არწივის და ვეფხვის მსგავსი აღამიანი. მოგვწონ ესენი, თუმც კეთილს ძალან ცოტას წარმოადგენს თავის ვინაობით და მხოლოდ იმით მოგვწონ, რომ გამომხატველია პირადის ძლიერებისა. როგორც კაცთა საზოგადოება გვაძლევს მარტოდენ მავნებელს ადამიანს, -წევრს, ეგრეთვე ჩვენი ბუნება-სხვადასხვა გესლიან ქვეწარმავალთ, რომელიც ჩვენ გვეზიზედება.“^[29]

წმინდა წერილში ძველსა თუ ახალ აღთქმაში ასევე წმინდანთა ცხოვრებებში უძრავი შედარებები და ბუნების სახისმეტყველებითი ნიმუშები მოგვეპოვება.

რომელთა შორისაც ასევე მრავლად არის ბუნების დამორჩილების და მასზე მეუფების ფაქტები. წმ. სახარება გვაუწყებს ერთ შემთხვევას – როდესაც მაცხოვარს მოშევდება, იგი მივა დაედვის ხესთან, მაგრამ მასზე ნაყოფს ვერ პოვებს; რის გამოც დაწყევლის ხეს და იგი მყისიერად გახმება ეს ეპიზოდი სიმბოლურად გვეზრახება იმ ადამიანთა მდგომარეობასა და მომავალზე, რომელთაც არ იზრუნეს იმაზე, რომ გამოედოთ სულიერი ნაყოფი.

სახარებისეულ აქ მოხმობილ ეპიზოდში საუბარია რწმენის ძალაზე და მისი ხელმწიფების უნარზე მთელ სამყაროზე, მდოგვის მარცვლის ოდენა რწმენასაც კი ძალუმს ბუნების ყოველი ძალი ადამიანის ნების ქვემდებარებ აქციოს და კვლავ აღადგინოს მისი მეუფება სამყაროზე, უფრო მეტიც, საჭიროების შემთხვევაში წმინდანებს ხელეწიფებათ ბუნებაზე არა ბუნებრივი ზემოქმედება. ამ თემაში ზოგიერთ მსგავს ფაქტს ზოგადად უკვე შეცეხეთ, ახლა მოვუხმობთ ერთ ამონარიდს წმ. შიო მღვიმელის ცხოვრებიდან. „წმიდა შიო მრავალ სასწაულს იქმოდა. ერთხელ მონასტრის სახედრებს მგელი შემოეჩია და ბევრი დაგლიჯა. როცა ეს ამბავი წმიდა შიომ გაიგო, ილოცა და უფლისაგან ითხოვა, ეს მგელი სახედრების მწყემსად ქცეულიყო; ასეც მოხდა – ამის შემდეგ ერთგულად მწყემსავდა სახედრებს.“^[30]

ამასთან მაცხოვარი ბუნების სახის-მეტყველების მოშევლიერით გვიჩვენებს, რომ ბუნების ყოველი არსის ცხოველსმყოფელობას ღმერთი განაგებს, ადამიანი კი ყველაზე აღმატებული და განსხვავებული არსებაა მთელს ქმნილებათა შორის. ამდენად მას არა აქვს საფუძველი, რომ უჭივი შეიტანოს ღვთის მიერ მისდამი მზრუნველობაში. უმთავრესია სულიერებისთვის ღწვა დანარჩენი კი ღვთით მოგვარებადია.

„მაჲსედგნით მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სოესვენ, არცა მეიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაი თქვენი ზეცათაი ზრდის მათ. არა-მე უფროის თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა? ანუ ვინ-მე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკსა თუისსა წყრთა ერთ? და სამოსლისათუის რაისა პზრუნავთ? განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარიგი აღორძნდის! არა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყვი თქუენ, რამეთუ არცადა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. უკუეთუ თივაი იგი ველისაი, რომელი დღესა არს და ხუალე თორნესა

შთავების, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არა-მე უფროის თქუენდა, მცირედ მორწმუნებომ [31]

სახარებისეული სწავლების კვალობაზე სამყაროს გლობალური კუთხით აღქმა და გააზრება ფრიად საკრალური პროცესი გახდავთ და ამდენად ადამიანსაც მართებს განსაკუთრებული პატივით და სიფრთხილით მოპყრობა დავთის ქმნილებათა ყოველი არსისადმი.

„ხოლო მე გეტეუ თქუენ არა ფუცად ყოვლადვე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაი ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერხთა მისთაი ნუცა იერუსალემსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისაი.“ [32]

ლიტერატურა

Reference:

1. manana xidaSeli wignSi: “samyaros suraTi arqaul saqrTveloSi” gamomcemloba nekeri 2001 w. gv. 17
2. leqsSi „nugeSi mgosnisa” 1894 weli, vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad; t.1 gv.181
3. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“ tomi; gv.97
4. „Rame mTaSi“, vaJa-fSavelas Txzuleba sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t. I, gv. 93
5. „Cveni sofeli“ vaJa-fSavelas Txzuleba sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t. V, gv.76
6. maTe Tavi-27, mux. 45, 51
7. „varsiklavii“ vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t. I gv.42
8. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, tomad t. II gv.386
9. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.V gv.80
10. poema „sisxlis Zieba“ vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t. III gv.308
11. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.I gv.119
12. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, tomi meoTxe, gv.40
13. vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.I.gv.92

- ^{14.}, „wm. ioane damaskeli marTmadidebluri sarwmunoebis zedmiwevnTi gadmocema“ Tbilisis sasuliero akademiis gamomcemloba, Tbilisi 2000w. Tavi mesame „dasabuTeba, rom aris RmerTi“ gv. 323
- ^{15.}T.SarabiZe „qristianuli motivebi vaJa-fSavelas SemoqmedebaSi“, Tbilisi 2005 . gv.21
- ^{16.} vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.I , gv.115
- ^{17.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t. I gv.202-203
- ^{18.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.I gv. 94
- ^{19.-20.}[„gamoCenili mecnierebi religiis Sesaxeb“ mecniereba da religia; www.orthodoxy.ge 19.05.12
- ^{20.} iqve
- ^{21.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.V gv. 34
- ^{22.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.VI gv.198-199
- ^{23.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.VI gv.47-48.
- ^{24.}vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.VI gv.40
- ^{25.} werili,,qveyanazed ra movlena ras momagonebs“ vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, 1886 weli t.X gv. 89
- ^{26.} vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.VI gv. 98.
- ^{27.}werili „sad aris poezia“, vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, tomi IX gv.394
- ^{28.}werili „yoveldRiuri fiqrebi“vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, t.IX gv. 189
- ^{29.}werili „sad aris poezia“, vaJa-fSavelas TxzulebaTa sruli krebuli aT tomad, Tbilisi 1964, gamomcemloba „sabWoTa saqrTvelo“, tomi IX gv.394-395
- ^{30.}wmidanTa cxovreba, tomi II, Tbilisi, 2001 www.orthodoxy.ge 3.06.12
- ^{31.}maTe 6,26-30
- ^{32.}maTe 5,34-35

**Lasha Tsaishvili
Vazha-Pshavela and Nature**

Summary

The letter discusses the worldview regarded with the nature of the greatest poet Vazha-Pshavela, which is not only Christian, but it is also theological. In this theme it is widely portrayed vile-kind of the nature seen by the writer, according to which each event of the world is analyzed through the prism of spiritual perspective. On the one hand, the writer does not understand a lot of problems which hampers the people during the existence, however, everything is acceptable for him, so because God conducted its purpose in this way. That is why in his creation the nature calls the people for glory and grace of God.

Keywords: Vazha-Pshavela, nature

Reviewer: Metropolitan Anania Japaridze, Georgian Technical University

**Лаша Цаишвили
Важа Пшавела и природа**

Резюме

В данном письме речь идет о великом грузинском поэте важа пшавела о его отношении и мировоззрении связанной с восприятием природы который является носителем не только христианских ценностей но и обладает божественным предназначением для людей.

В теме широко раскрыто увиденное писателем положительные и отрицательные стороны красоты природы благодаря чему все явления вселенной рассмотрены в душевной призме с одной стороны писателю не понятны многие проблемы которые встречаются на всем протяжении существования человечества однако для него все приемлемо потому что создатель так определил его судьбу именно поэтому в его творчестве природа призывает людей к благодарению господа и жить во славе Его.

Ключевые слова: Важа Пшавела, природа

Рецензент: митрополит Анания Джапаридзе, Грузинский технический университет.

ციცინო ბუგია მედიის მოვალეობა და პრიორიტეტები

უკრნალისტური მოღვაწეობა, პირველ რიგში, ადამიანთა ფართო მასების ინფორმირებულობას ემსახურება. ის შემოქმედებითი საქმიანობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობა ფუნქციებისა და პრინციპების საფუძვლებსა და სისტემაზე დაყრდნობით, წარმოადგენს თავისუფალ მოღვაწეობას. აუდიტორიას აქვს უფლება იცოდეს სიმართლე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ვალდებულებას სწორედ ამ ფუნქციის შესრულება წარმოადგენს.

„უკრნალისტიკა ორგანულად არის დაკავშირებული ორ უმნიშვნელოვანების ფილოსოფიურ კატეგორიასთან. ესაა: თავისუფლება და ჰემმარიტება. იგი ყოველდღიური ფაქტებისა და მოვლენების აღნუსხვა-გავრცელებით საზოგადოების მიერ მათი გაცნობიერების ამოცანებს ემსახურება. ამ გაგებით არის იგი ფილოსოფიური მოღვაწეობა. უკრნალისტს უნდა გააჩნდეს მკვეთრად ჩამოყალიბებული პროფესიული მსოფლმხედველობა, რომელიც მის მოღვაწეობას საზოგადოების განვითარების ინტერესების შესაბამისად წარმართავს“[1].

უკრნალისტიკა საზოგადოების განვითარების კვალობაზე ყალიბდებოდა, შესაბამისად, ცდილობდა მისი მოთხოვნებისთვის ეპასუხა, თუმცა დროთა განმავლობაში, ცვლილებებმა და შესაძლებლობებმა ფართო მასების არა მარტო ინფორმირება, არამედ კონტროლიც შესაძებელი გახადა. ამან კი მედიის გარკვეული დაღი დაასვა. რამდენადაც საზოგადოებაზე ზემოქმედების უდიდესი მექანიზმის ფლობის პირობებში, უკრნალისტი ვალდებულია გააცნობიეროს უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც უპირობოდ ეკისრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მედიის საქმიანობაში საზოგადოებას შესაძლოა, სარგებლის ნაცვლად, ზიანი მოუტანოს.

„კაცობრიობის განვითარების უპეტეს და უმეტეს პერიოდებში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებანი (მსკ) ემსახურებოდნენ ადამიანებს, როგორც მასობრივი თანხმობის, შეკავშირებისა და გაერთიანების საშუალებანი. სოციალ-პოლიტიკური კატაკლიზმებით დამძიმებულ, ბობოქარ ეპოქებს კი პირუკუ, ახასიათებს მსკ-ი დაკუმანიზაცია: შესაძლებელი ხდება მისი საზოგადოების ინტერესების საზიანოდ გამოყენება“[2].

„ერთი მხრივ, სახიფათოა დემოკრატიისთვის არსებითი უფლება – ჰემარიტი თავსუფლება მიანიჭო ამისთვის შეუძლებელ საზოგადოებას. მეორე მხრივ, თავისუფლების წინასწარი შეზღუდვა და ფარული პროპაგანდის საშუალებით მასებზე ზემოქმედება გზას უკეტავს ქვეყანაში დემოკრატიის ბუნებრივად ჩამოყალიბებასა და განვითარებას“[3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უურნალისტიკა მუდმივად ოქროს შუალედის ძიებაში უნდა იყოს და ფართო მასების ინტერესებს ზე უნდოვად და სამათლიანად ემსახუროს. ამ საჭიროებიდან იღებს სათავეს აქსიომა: „უურნალისტიკის უმთავრესი პრინციპია – „არ ავნო!“ ასევე – „აღსარების საიდუმლოს“ დაცვა, ისევე, როგორც ეკლესიაში“ [4].

როგორც რევაზ სურგულაძე თავის ნაშრომში „უურნალისტიკამცოდნეობის საფუძვლები“ აცხადებს: „უურნალისტიკა არ არის მხოლოდ ინფორმაციის უბრალო გავრცელების საშუალება, იგი არც მხოლოდ დასეგნება-გართობის საშუალებაა. მით უფრო, იგი არ შეიძლება ჩვეულებრივ კომერციულ წამოწყებად მივიჩნიოთ. უურნალისტიკა, თუნდაც ინფორმაციის გავრცელებით ან ადამიანთა გართობით საზოგადოებას მართავს, გარკვეული გზით მყავს იგი. ამით უურნალისტიკას კაცობრიობის წინაშე უზარმაზარი მოვალეობა აკისრია და მისი პასუხისმგებლობა დღითიდევ მატულობს, ვინაიდან ინფორმაციის მოცულობის მუდმივ ზრდასთან ერთად, კატასტროფულად მცირდება ადამიანის პარმონიული განვითარებისათვის აუცილებელი მიზანსწრაფული ინფორმაციის მოპოვების ალბათობა [5].“

„ოქროს შუალედის“ მოსაძებნად, პირველ რიგში, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს მედიის ფუნქციები, ამასთანავე, ყოველმა უურნალისტმა საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე ზენობრივად გამართლებული ნაბიჯი გადადგას. მედიის ფრანგი მკვლევარი, კლოდ-ჟან ბერტრანი მასმედიის ექს ფუნქციას გამოყოფს:

1. მეთვალყურეობა (მედიის ფუნქციაა ინფორმაციის მოძიება, გაფილტვრა, გაანალიზება, ინტერპრეტირება და შემდგომ მისი გავრცელება ყველასათვის გასაგებ ენაზე. კერძოდ, მედიამ არჩევნებს შორის დროის ინტერვალში თვალყური უნდა დევნოს სამი პოლიტიკური სახელისუფლო შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო) საქმიანობას);

2. საზოგადოებრივი კომუნიკაციის უზრუნველყოფა (მედია წარმოადგენს საჯარო ფორუმს დებატებისთვის);
3. მსოფლიოს ახალი ამბებით უზრუნველყოფა;
4. კულტურის გავრცელება;
5. გარობა;
6. გაყიდვა (მედია რეკლამის გავრცელების მთავარი საშუალება).

